# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 21 ივლისი, 2011 წელი.

№136 (6747)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




## როცა ოფიციალური პოლიტიკა სხვაა, ადამიანური სურვილები კი – სხვა

## დევნილთა ნაწილი თანახმაა, დაბრუნდეს საქართველოს კონტროლს მიღმა დარჩენილ აფხაზეთში ②

## რატომ პირდება ალექსანდრე ებრალიძე 200 მილიონ დოლარს ლეიბორისტებს?..

### მიმართვა ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლებს კახა ქაგანიასა და შალვა ნათელაშვილს



ბატონებო, ინტერესით ვადევნებ თვალყურს იმ გულმოდგინებას, რომლითაც თქვენ ასეთ „რეკლამას“ მიწევთ ქართულ საინფორმაციო სივრცეში.

საქმე რომ გაგიადვილოთ, გაცნობებთ შემდეგს:

პირადად არ ვიცნობ რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს.

ბიზნესი სანკტ-პეტერბურგსა და ტვერის ოლქში შევქმენი საკუთარი ძალებით, პარტნიორებთან ერთად, რომელთა შორის არ არიან რუსეთის, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლები.

ჩემი დამოკიდებულების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ არაერთგზის განმიცხადებია საჯაროდ: რაც უფრო ადრე ჩამოცილდება ხელისუფლებას პრეზიდენტი, მით უკეთესია საქართველოსთვის. მაგრამ ეს უნდა მოხდეს დემოკრატიული გზით, არჩევნების მეშვეობით.

არასოდეს დამიფინანსებია ეგრეთ წოდებული „ამბოხი“ თუ „გადატრიალება“, ან მსგავსი ანტიკონსტიტუციური ქმედება და არც ვაპირებ დაფინანსებას.

საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას ვთავაზობ 200 მილიონ დოლარს, რათა აიღოს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების პასუხისმგებლობა.

თქვენ მიმართ ერთადერთი თხოვნა მაქვს — ზემოქმედება მოახდინეთ პრეზიდენტ სააკაშვილზე, რათა დამიბრუნოს საქართველოს მოქალაქეობა.

**ალექსანდრე ებრალიძე,**

საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი

ვენა (ავსტრია), 2011 წლის 18 ივლისი



ნუკრი ქანთარია: ქვეყანა ჯოჯოხეთისკენ მიექანება! ③



## „ბედნიერი“ ქვეყანა ⑤



ლევან ღვინჯილია პოლიტიკაში მიდის ⑥

ვაშინგტონი საქართველოს თავდაცვის მინისტრად ბაჩო ახალაიას დანიშვნით შეშფოთებული იყო ③

კანონის უზენაესობასთან დაკავშირებული არასაკმარისი პროგრესი საქართველოსთვის დამაბრკოლებელია

დასჯიან თუ არა მძღოლებს, რომლებმაც თვითნებურად გაზარდეს მგზავრობის საფასური? ②

გამოაცხადებს თუ არა აშშ დეფოლტს? ④

ისრაელმა საქართველო სახიფათო ქვეყნების სიაში კვლავ შეიყვანა ②

როგორი იქნება „ქალაქი ქალაქში“? ⑥

ფოტორეპორტიორების შემდეგ სამოქალაქო საზოგადოების არაკონტროლირებადი წარმომადგენლების მხილება დაიწყება ②

**კვლევა**

**აფხაზეთში მოსალოდნელი არჩევნების ფონზე, გამძაფრდა ინტერესი, როგორი იქნება ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ბედი. შეიცვლება თუ არა რაიმე გაყინულ კონფლიქტში? ამ ფონზე, საინტერესოა, როგორია ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებული დევნილების მზაობა.**

ორმა საერთაშორისო ორგანიზაციამ **„შერიგების რესურსებმა“ და „ინიციატივა“** საგამოდ ფუძემენტური კვლევა ჩაატარა საქართველოში დევნილთა კოლექტიური განსახლების ცენტრებში. ისინი შეეცადნენ, გამოევლინათ, თუ რას ფიქრობენ 1992-93 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად დაზარალებულები ამ კონფლიქტის მოგვარების გზების, დაბრუნების, წარსულში ჩადენილი უსამართლობის გამოსწორების შესაძლებლობების თაობაზე. როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, კვლევის შედეგად გამოკვეთილ

ან მზად მეგობრობისთვის. მეტიც, 19 პროცენტის აზრით, აფხაზები ქართველებს მტრად აღიქვამენ.

გამოკითხვისას 20 წლის შემდეგაც კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები დევნილები სერიოზული ეკონომიკურ-სოციალური პრობლემებით არსებობენ. ყველაზე დიდი უკმაყოფილება საცხოვრებელი ფართის ხარისხის, ხოლო შემდეგ უმუშევრობის გამო გამოთქვეს. დევნილთა მხოლოდ მესამედია დასაქმებული. დაბრუნება დღეისთვის რომ იყოს დაგეგმილი, აფხაზეთში მათი ქონების დაბრუნება ან შეუძლებელი იქნებოდა, ან დიდი წინააღმდეგობით სავსე, რადგან ნახევარზე მეტის საცხოვრებელი დანგრეულია და განადგურებულია. მეოთხედი ამბობს, რომ სახლში სხვა ცხოვრობს, 10 პროცენტისთვის სახლის ბედი არ არის ცნობილი, ხოლო 4 პროცენტის განცხადებით, მათი საცხოვრებლით მათივე ოჯახის წევრები სარგებლობენ. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ შემდეგ გამოკითხულთა მეოთხედმა აფხაზეთის მონახულ-

ბულ დაპირისპირებად აღიქვამენ. თუკი განიხილებოდა პირდაპირი მოლაპარაკებები დე ფაქტო მთავრობასთან, გამოკითხულთა მხოლოდ მეოთხედისათვის იქნებოდა პრიორიტეტი სტატუსთან დაკავშირებული დისკუსიები.

კვლევიდან ცხადდება, რომ დევნილთა შორის არსებობს სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტის საჭიროება. გამოკითხულთა 59 პროცენტის აზრით, კონფლიქტის გადასაჭრელად აუცილებელია წარსულში დაშვებული უსამართლობის გამოსწორება: სამხედრო დანაშაულების გამოძიება. უნდა მოხდეს დამნაშავე პირთა სისხლის სამართლებრივი დევნა. ასევე დევნილები მოითხოვენ ზარალის ანაზღაურებასაც — სიმბოლურსაც და ფინანსურსაც. 40 პროცენტის აზრით, ფინანსური კომპენსაცია ქართველმა მთავრობამ უნდა გასცეს, 23 პროცენტის აზრით — რუსეთის მთავრობამ. რესპონდენტთა ნახევარს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებისაგან ბოდიშის მოხდაც დააკმაყოფილებდა. თუმცა თავად დევნილები მაინც და მაინც დიდ თანაგრძნობას არ გამოხატავენ აფხაზეთის მხარის მიმართ. როცა დღისა შეკითხვა სიმბოლური ჟესტების გა-

# დევნილთა ნაწილი თანახმაა, დაბრუნდეს საქართველოს კონტროლს მიღმა დარჩენილ აფხაზეთში

## როცა ოფიციალური პოლიტიკა სხვაა, ადამიანური სურვილები კი - სხვა




დამოკიდებულებებსა და შეხედულებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ინფორმირებული დებატებისთვის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სამართლიანი და გრძელვადიანი გადაწყვეტა.

მთელი საქართველოს მასშტაბით სულ 100 დევნილი გამოიკითხა. აღმოჩნდა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა შედარებით თავისუფლად გრძნობს თავს ქართულ საზოგადოებაში, მაგრამ ის ფაქტი, რომ თუნდაც 27 პროცენტი ამბობს საპირისპიროს, ხოლო ამდენივეს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მიგვანიშნებს, თუ კიდევ რამდენი სამუშაოა გასაწევი დევნილების ინტეგრაციის თვალსაზრისით.

**განსაკუთრებული იმედგაცრუებით გამოირჩევიან თბილისში განსახლებული ადამიანები. თითქმის ნახევარი არ ეთანხმება აზრს, რომ მთავრობა სერიოზულ ყურადღებას უთმობს მათ პრობლემებს. რეგიონებში შედარებით მაღალ ნდობას გამოხატავენ სამთავრობო ინსტიტუტების მიმართ. 68 პროცენტი პრეზიდენტს ენდობა. მკვლევარები ამას იმით ხსნიან, რომ თბილისის საზოგადოებრივი დისკუსია უფრო ლიბერალური და პლურალისტურია.**

გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართველებსა და აფხაზებს უფრო მეტი საერთო თვისებები აქვთ, ვიდრე განმასხვავებელი და ამიტომაც განწყობაც მეგობრული აქვთ, თუმცა ფიქრობენ, რომ აფხაზები სულაც არ არი-

ბა. აბსოლუტური უმრავლესობა მზად არის, დაბრუნდეს აფხაზეთში, თუკი საქართველო აღადგენს კონტროლს აფხაზეთზე და მოხდება რეინტეგრაცია. მაგრამ დევნილთა 9 პროცენტი თანახმაა დაბრუნდეს აფხაზეთში თუნდაც იმ შემთხვევაში, თუკი აფხაზეთი საქართველოს კონტროლს მიღმა დარჩება... ან რუსეთს შეუერთდება. და თუ ახლა საცხოვრებელი ადგილიდან წასვლა მოუხდებათ, მაშინ თბილისში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული გამოკითხული პირების 20 პროცენტი ასევე მზადაა, დაბრუნდეს აფხაზეთში მისი ამჟამინდელი სტატუსით.

**გამოკითხულთა მესამედს სჯერა, რომ აფხაზეთის დაბრუნება მოხდება შემდეგი 10 წლის განმავლობაში, თერთმეტი პროცენტის აზრით, აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში არასოდეს დაბრუნდება, ხოლო ნახევარმა ვერ შეძლო პასუხის გაცემა. რადგან დაბრუნებას 20 წელიწადია ელოდებიან დევნილები, კვლევის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს ყველაზე რეალური პასუხია.**

6 პროცენტის აზრით, კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ სამხედრო გზით შეიძლება, ხოლო 59 პროცენტი პირიქით ამბობს. 20 პროცენტის აზრით კი, ძალისმიერი მეთოდების არჩევა მხოლოდ უკიდურესი ზომა შეიძლება იყოს. 60 პროცენტი მეტ-ნაკლებად ეთანხმება იმ აზრს, რომ ეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტი არაა და მას საქართველოსა და რუსეთს შორის არსე-

მოხატვის შესახებ, რომლებიც მეორე მხარის დანაკარგს აღიარებდა, მხოლოდ მეოთხედმა უპასუხა დადებითად...

კვლევა შეეხო დევნილთა იდენტობასა და ენას. გამოკითხვამ აჩვენა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა უდიდესი უმრავლესობა თავს ქართული ეთნიკური ჯგუფის ნაწილად მიიჩნევს, ხოლო 17 პროცენტი — მეგრელებად.

**და თუ ზოგად განწყობაზე გავამახვილებთ ყურადღებას, ერთ-ერთი დევნილი ამბობს: „რა უფრო მნიშვნელოვანია, ადამიანები თუ ტერიტორია? როგორც აღმოჩნდა, ტერიტორია, რადგან საქართველოს ხელისუფლებამ იძულებით გადაადგილებული პირები მძევლებად აქცია. ხელისუფლებას თავი უნდა შეეკავებინა მუქარისა და დაშინების პოლიტიკისგან და გადაადგილებული პირები აფხაზური საზოგადოების წინააღმდეგ მუქარის ინსტრუმენტად არ უნდა გამოეყენებინა, პირიქით, ინტეგრაციის იდეისთვის უნდა დაეჭირა მხარი. ჩვენმა მთავრობამ გადაადგილებული პირები არ უნდა წარმოსახოს დაბრუნებისა და შურისძიების გრძნობით ანთებულ ერთგვაროვან მასად. ეს არ შეესაბამება არც იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტერესებს და არც, საერთოდ, შერიგების პროცესს“.**

**კვლევამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ოფიციალური პოლიტიკა სხვაა, ხოლო ადამიანური სურვილები — სხვა...**

**თეა მოსია**

**გაფრთხილება**

# ისრაელმა საქართველო სახიფათო ქვეყნების სიაში კვლავ შეიყვანა

**ისრაელი თავის მოქალაქეებს საქართველოში გამგზავრებისგან თავის შეკავებას ურჩევს, — ამის შესახებ „ისრა.კომ“ იუწყება.**

**ისრაელის ანტიტერორისტულმა შტაბმა საქართველო იმ ქვეყნების ჩამონათვალში შეიყვანა, სადაც ებრაელებისთვის გამგზავრება სახიფათოა. ისრაელის ტერორიზმთან ბრძოლის შტაბი თანამემამულეებს საქართველოში, აზერბაიჯანსა და თურქეთში გამგზავრებისგან თავის შეკავებას ურჩევს.**

— თუ აუცილებლობის შემთხვევაში მაინც გადაწყვეტთ ამ ქვეყნებში ვიზიტს, გირჩევთ მაქსიმალური სიფრთხილე და დაკვირვება გამოიჩინოთ, — ნათქვამია შტაბის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში. იგივე რეკომენდაცია გაიცა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებთან დაკავშირებითაც.

განცხადებაში განმარტებულია ისიც, რომ ისრაელი საქართველოს კვლავ „გრუზიად“ მოიხსენიებს.

— მართალია საქართველოს ხელისუფლება ოფიციალურად ითხოვს, რომ სახელწოდებად „ჯორჯია“ გამოვიყენოთ, თუმცა „გრუზია“, ჩვენი აზრით, უკეთ ჟღერს, — განმარტავენ ისრაელის ტერორიზმთან ბრძოლის შტაბში.

აღსანიშნავია, რომ ისრაელმა საქართველო სახიფათო ქვეყნების სიაში რამდენჯერმე შეიყვანა და ამოიღო.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**ტრანსპორტი**

# დასჯიან თუ არა მძღოლებს, რომლებმაც თვითნებურად გაზარდეს მგზავრობის საფასური?

**კომპანია „თბილისის მიკროავტობუსში“ სამარშრუტო ტაქსების მძღოლებზე მგზავრობის ღირებულების გაზრდის მიზნით რაიმე სახის ზემოქმედების განხორციელებას უარყოფენ.**

„თბილისის მიკროავტობუსის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა თეონა ნიორაძემ განაცხადა, რომ სამარშრუტო ხაზების მძღოლები იძულებული არავის გაუხდია, რომ მგზავრობის ღირებულება გაეზარდათ.

თბილისის მერიაში იმასაც ამბობენ, რომ მძღოლებმა თვითნებურად გაზარდეს ფასები. მძღოლები აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან საუბარს თავს არიდებენ.

თემას თბილისის საკრებულოს წევრი თინათინ ხიდაშელი გამოეხმაურა.

„ჩვენ ამჯერადაც მართალი აღმოვჩნდით, როდესაც ისინი საზოგადოების შეცდომაში შეყვანაში დავადანაშაულეთ, მრავალი თბილისელი აღმოჩნდა გაურკვეველ ვითარებაში, როდესაც დილით ძველ სამარშრუტო ტაქსებში გაძვირებული, 80-თეთრიანი გადასახადი დახვდათ.

მათი თქმით, მძიმე სოციალურ პირობებში, მგზავრობის ღირებულების გაძვირება მიუღებელია და შეუძლებელი გახდება სამარშრუტო ტაქსებით მოძრაობა.

ამასთან დაკავშირებით მედიაკავშირ ობიექტივის სტუდიაში „წინააღმდეგობის მოძრაობამ“ ბრიფინგი გამართა.

საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები აცხადებენ, რომ მათ მრავალი აღელვებული მოქალაქე უკავშირდება, რათა გაერკვიათ თუ რამ გამოიწვია სამარშრუტო ტაქსებზე ფასის გაზრდა.

მოძრაობის ლიდერები მთელი დღის განმავლობაში ცდილობდნენ დაკავშირებას „თბილლაინის“ ცხელ ხაზზე. თუმცა ეს ვერ მოახერხდა.

„თბილისის მიკროავტობუსის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა თეონა ნიორაძემ აღნიშნა, რომ „თბილლაინს“ ამ საქმესთან არანაირი შეხება არა აქვს და ფასების ხელოვნური და თვითნებური ზრდა მძღოლების „თვითშემოქმედებაა“, რომელიც დასჯადი ქმედებაა.

საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობამ, ამ საჭირბოროტო პრობლემასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გააკეთა.

**„საქმე გვაქვს მერიისა და „თბილლაინის“ მესვეურების მხრიდან სატრანსპორტო ბიზნესის მონოპოლიზაციის მცდელობასთან, რაც აუცილებლად გამოიწვევს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას. მივმართავთ მერიის შესაბამის სამსახურებს, დღის განმავლობაში გააკეთონ განცხადება შექმნილი მდგომარეობის შესახებ და განუმარტონ თბილისის მცხოვრებლებს ტარიფის გაზრდის მიზეზები. ასევე მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე იმ მძღოლების მიმართ, რომელმაც „ხელოვნურად და თვითნებურად“ გაზარდეს სამარშრუტო ტაქსების მომსახურების ტარიფები“.**

**ირინა ოზოლაშვილი**



**ბრიფინგი**

# ფოტორეპორტიორების შემდეგ სამოქალაქო საზოგადოების არაკონტროლირებადი წარმომადგენლების მხილება დაიწყება

**ადამიანის უფლებათა ცენტრში გუშინ საგანგებო ბრიფინგი გაიმართა. ცენტრის წარმომადგენლები შეშფოთებულები არიან ხელისუფლების მხრიდან უკიდურესი რეპრესიული კანონმდებლობის მიღებით და დამოუკიდებელ სამოქალაქო ინსტიტუტებზე განხორციელებული ზემოქმედებით.**

როგორც ცენტრის ხელმძღვანელი **უჩა ნანუაშვილი** ამბობს, „ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ცენტრის წარმომადგენელთა სისტემატური, ტოტალური თვალთვალი მიმდინარეობს. ოფისთან, საცხოვრებელ სახლთან, ქუჩაში მოძრაობისას, არაერთი მოთვალთვალე დავაფიქსირეთ. ისინი მანქანებს ხშირად უცვლიან სახელმწიფო ნომრებს, საიდანაც ხორციელდება თვალთვალი“, — აცხადებს ის. ცენტრში არ აკონტროლებენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ ბოლო წლების განმავლობაში რამდენჯერმე გახდნენ თავდასხმის ობიექტი. პოლიციელები ოფისში შემოიჭრნენ, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს იქ მყოფთ და დაემუქრნენ. დღესაც გამოუძიებელია შიდა ქართლის ოფისის კოორდინატორ საბა წიწიკაშვილსა და კახეთის კოორდინატორ გელა მთივლიშვილზე თავდასხმის ფაქტები, სადაც პოლიციელები ფიგურირებენ. თუმცა ხელისუფლებამ ისინი პირიქით, დააწინაურა და წაახალისა.

ბრიფინგზე ითქვა, რომ ცენტრის ადვოკატებს სხვადასხვა გზით აშორებენ საქმეებს და არაერთ პროცესზე აცილებას უკეთებენ. **„თუმცა იყო შემთხვევა, როცა ჩვენს რამდენიმე თანამშრომელს მეტად მომხიბლავი წინადადებები შესთავაზეს — საჯარო სამსახურში მაღალი თანამდებობა, კარგი ანაზღაურების პერსპექტივით. ზოგიერთს კი ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები „მეგობრულ“ რჩევებს აძლევენ და მოუწოდებენ, აქტიურობისგან თავის შეკავებისკენ“** — აღნიშნა ცენტრის ხელმძღვანელმა. ის ამტკიცებს, რომ თანამდებობის პირები ჩართულნი არიან სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაციაში. უცხოელ სტუმრებს პირად საუბარში უმტკიცებენ, რომ ქართული სამოქალაქო საზოგადოება რუსეთის დაზვერვასთან თანამშრომლობს. მათ ეუბნებიან, რუსეთი იმდენად ძლიერია, დიპლომატებზე გავლენას საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით ახდენსო. ფოტორეპორტიორთა საქმეც, თურმე მხოლოდ დიდი ჯაჭვის პირველი რგოლია და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა „მხილება“ იგეგმება, რამდენიმე არაკონტროლირებად ორგანიზაციაზე წერტილოვანი დარტყმით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების წინ გახდება აქტუალური“, — აღნიშნავს ის.

**ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ უახლოესი თვეების განმავლობაში კვლავ გაგრძელდება აგრესიული ზემოქმედება სხვადასხვა ფორმით დამოუკიდებელ მედიასაშუალებებზე, არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რათა ხელისუფლებას არ ჰყავდეს სერიოზული ხელისშემშლელი ძალები წინასაარჩევნო კამპანიის დროს და უმტკივნეულოდ შეძლოს პუტინიზაცია — პრემიერ-მინისტრზე ძალაუფლების ხანგრძლივი დროით გადაბარება.**

**ნია ფიფია**

საუბარი

# ვაშინგტონი საქართველოს თავდაცვის მინისტრად ბაჩო ახალაიას დანიშვნით შეშფოთებული იყო

**აშშ საქართველოს თავდაცვის მინისტრად ბაჩო ახალაიას დანიშვნით შეშფოთებული იყო. ამის შესახებ WikiLeaks-ის მიერ გამოქვეყნებულ მორიგ მასალაშია ნათქვამი, რომელშიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილესთან თინა ქეიდენაუსთან საუბრის შინაარსია გადმოცემული.**

თბილისში აშშ-ის საელჩოდან გაგზავნილი ტელეგრამიდან ირკვევა, რომ შეერთებული შტატები, შეშფოთებას გამოთქვამდა ორი წლის წინათ საქართველოს თავდაცვის მინისტრად ბაჩო ახალაიას დანიშვნის გამო. ტელეგრამაში ასევე საუბარია სასამართლოსა და დემოკრატიულ რეფორმებთან დაკავშირებულ პრობლემებზე და იმაზე თუ რა არის სააკაშვილის აზრით ქართული მედიის „ფუნდამენტური პრობლემა“.

ტელეგრამის მიხედვით, 2009 წლის სექტემბერში პრეზიდენტ სააკაშვილთან გაცნობითი შეხვედრის დროს ქეიდენაუმ მას დემოკრატიულ რეფორმების კუთხით პროგრესისკენ მოუწოდა, **„რაც იქნება საშუალება საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოსადმი მხარდაჭერის გასაზრდელად და შიდა სტაბილურობის ხელის შესაწყობად, როგორც ამის თაობაზე მანამდე ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა“.**

**„ქეიდენაუმ შეშფოთება გამოხატა თავდაცვის მინისტრად ბაჩო ახალაიას დანიშვნასთან დაკავშირებით, აღნიშნა რა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით მისი ცუდი წარსული. სააკაშვილმა მაშინვე უთხრა ქეიდენაუს, რომ მას არ ესმის, თუ რატომ არის მისი ამ საკადრო არჩევანის გამო საერთაშორისო კრიტიკა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის დროს, ახალაია პასუხისმგებელი იყო გამკლავებოდა მაფიას საქართველოში და შედეგად საქართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით უფრო მეტი წარმატება ქონდა, ვიდრე სხვა რომელიმე ყოფილ საბჭოთა ქვეყანას. სააკაშვილის მტკიცებით, ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა დავით სიხარულიძემ ვერ მიაღწია რეალურ პროგრესს რეფორმების კუთხით და რომ ის უკეთესი დიპლომატი იყო, ვიდრე მინისტრი და რომ ის (სააკაშვილი), როგორც პრეზიდენტი, ვალდებული იყო (2009 წლის მაისი) მუხროვანის გადატრიალების მცდელობისთვის სიხარულიძესთვის პასუხი მოეთხოვა“,** — ნათქვამია ტელეგრამაში.

ამავე დოკუმენტის მიხედვით, სააკაშვილმა მოუწოდა ქეიდენაუს და სხვა ოფიციალურ პირებს, არ ეჩქარათ ახალაიას დანიშვნასთან დაკავშირებით დასკვნების გამოტანა და ქეიდენაუს შესთავაზა ახალაიას თანამდებობაზე მუშაობის შეფასება გაეკეთებინა. ხოლო ქეიდენაუმ მოუწოდა პრეზიდენტ სააკაშვილს გაეაზრებინა, თუ რა გავლენა იქონია ამ დანიშვნამ საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციაზე და ხაზი გაუსვა მსგავსი ქმედებისგან მომავალში თავის შეკავების მნიშვნელობას.

# პრეზიდენტს ქართული მედიის მთავარ პრობლემად ჟურნალისტების მიერ ინგლისური ენის არცოდნა მიაჩნდა



Public domain

**პრეზიდენტ სააკაშვილს ქართული მედიის მთავარ პრობლემად ჟურნალისტების მიერ ინგლისური ენის არცოდნა მიაჩნდა. როგორც WikiLeaks-ის მიერ გამოქვეყნებულ მორიგ მასალაშია ნათქვამი, ამის შესახებ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილესთან თინა ქეიდენაუსთან 2009 წლის სექტემბერში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.**

თბილისში აშშ-ის საელჩოს მიერ ვაშინგტონში გაგზავნილ ტელეგრამაში ნათქვამია, რომ ქეიდენაუმ იკითხა, თუ რა დახმარება შეიძლებოდა აღმოეჩინა აშშ-ს ქართული მედიის გაძლიერებისთვის.

**„სააკაშვილმა თქვა, რომ ფუნდამენტური პრობლემა ის არის, რომ ჟურნალისტებმა არ იციან ინგლისური ენა და ამიტომ, ძალიან შეზღუდული არიან თავიანთ საქმიანობაში. მან ასევე განაცხადა, რომ ქართველ ჟურნალისტებს ძირეულად არასწორად ესმით თავისუფალი პრესის როლი, თუმცა იმედი გამოთქვა, რომ დასავლეთთან შემდგომი კონტაქტები ამ პრობლემის მოგვარებას დაეხმარება. მან აღნიშნა, რომ საპროტესტო აქციების დროს ოპოზიცია დაემუქრა ჟურნალისტებს. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა ადრინდელი მისი თხოვნა აშშ-ის მთავრობის მიერ მხარდაჭერილი ინგლისური ენის ტრეინინგებთან დაკავშირებით“,** — ნათქვამია ტელეგრამაში.

# კანონის უზენაესობასთან დაკავშირებული არასაკმარისი პროგრესი საქართველოსთვის დამაბრკოლებელია

**საქართველოსთვის ეკონომიკური განვითარების მთავარ დაბრკოლებად არა რუსული სამხედრო საფრთხე, არამედ კანონის უზენაესობასთან დაკავშირებული არასაკმარისი პროგრესია. როგორც WikiLeaks-ის მიერ გამოქვეყნებულ მორიგ მასალაშია ნათქვამი, ამის შესახებ 2009 წლის სექტემბერში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ თინა ქეიდენაუმ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან 2009 წლის სექტემბერში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.**

თბილისში აშშ-ს საელჩოს მიერ ვაშინგტონში გაგზავნილი ტელეგრამის მიხედვით, ქეიდენაუმ უთხრა პრეზიდენტ სააკაშვილს, რომ თბილისში ვიზიტისას ის შეხვდა ამერიკის სავაჭრო პალატის საბჭოს წევრებს.

**„ისინი დაეთანხმნენ მოსაზრებას, რომ ეკონომიკური განვითარებისთვის მთავარ დაბრკოლებას არა რუსეთის სამხედრო ყოფნიდან მომავალი საფრთხე, არამედ კანონის უზენაესობის საკითხებთან დაკავშირებით არასაკმარისი პროგრესი და შიდა პოლიტიკურ სტაბილურობასთან დაკავშირებული შეშფოთება წარმოადგენდა. ქეიდენაუმ აღნიშნა, რომ ბიზნეს წრეებს კონკრეტულად მხედველობაში აქვთ მთავრობის მხრიდან სასამართლოზე პირდაპირი ზეწოლა, როგორც კარგი მმართველობისა და კანონის უზენაესობის დამაბრკოლებელი ფაქტორი“,** — ნათქვამია ტელეგრამაში.

ამავე დოკუმენტის მიხედვით, სააკაშვილმა უპასუხა, რომ საქართველოს სასამართლო სისტემა უფრო ნაკლებად კორუმპირებულია, ვიდრე სხვაგან სამეზობლოში, მათ შორის თურქეთში.

**„მან საქართველოს რეფორმები დაახასიათა, როგორც „პროცესი“. მან თქვა, რომ საქართველოს ჰყავს ახალგაზრდა, ამბიციური მოსამართლეები, რომლებსაც კარგი ანაზღაურება აქვთ, მაგრამ სჭირდებათ უფრო მეტი განათლება და დასავლეთთან ზიარება, რათა გააუმჯობესონ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა. მან აღნიშნა, რომ პრეზიდენტი აღარ მონაწილეობდა მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში“.**

# საქართველო „აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამიდან“ გასვლით იმუქრებოდა

**მინსკის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში საქართველო „აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში“ ბელორუსთან ერთად აღარ დარჩება.**

როგორც WikiLeaks-ი წერს, ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე თინა ქეიდენაუს, 2009 წლის 25 სექტემბერს გამართულ შეხვედრაზე განუცხადა, რომლის ჩანაწერსაც აღნიშნული გამოცემა აქვეყნებს.

**„სააკაშვილმა უთხრა ქეიდენაუს, რომ თუ ბელორუსი გადაწყვეტდა აღიარებას, საქართველო ვეღარ შეძლებდა მინსკთან მუშაობას ევროკავშირის ახლადშექმნილი „აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის“ ფარგლებში. თუ ევროკავშირი არ გააძევებდა ბელარუსს „აღმოსავლეთ პარტნიორობიდან“, მაშინ საქართველოს მოუწევდა მისი დატოვება“,** — წერს გამოცემა.

მისივე ინფორმაციით, აღნიშნული განცხადების საპასუხოდ ქეიდენაუმ სააკაშვილს ევროკავშირთან ახლო კოორდინაციისკენ მოუწოდა და ურჩია არ განეხორციელებინა ნაჩქარევი მოქმედებები, რაც კონტრპროდუქტიული იქნებოდა და საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობებს დააზიანებდა.

სამართლებრივი ფარსი

## ნუკრი ქანთარია:

# ქვეყანა ჯოჯოხეთისკენ მიექანება!



**პროკურატურამ „აღიარებითი ჩვენება“ მესამე დაკავებულ ფოტორეპორტიორ, გიორგი აბდალაძესაც ჩამოართვა. უფლებადამცველები პროცესს უნდობლობას უცხადებენ და დაკითხვის სრული ჩანაწერის გამოქვეყნებას მოითხოვენ. საუბარია იმაზე, რომ აბდალაძემ ზეწოლას ვერ გაუძლო და მოიგონა ვერსია, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.**

**„ქართული აკადემიის“ წარმომადგენელ ნუკრი ქანთარიასთან საუბარი ამ თემით დავიწყეთ.**

**— რა შეფასებას მისცემთ ფოტორეპორტიორების „აღიარებით ჩვენებებს“?**

— გაურკვეველი პროცესი თავიდანვე უამრავ კითხვას ბადებდა. ყველაფერი თეთრი ძაფით იყო ნაკერი. ფოტორეპორტიორებს ჯაშუშობაში კი ედებათ ბრალი, მაგრამ აბსოლუტურად გაურკვეველია, რა საიდუმლოებაზე მიუწვდებოდათ ხელი.

დადებითად ვაფასებ კოლეგების სოლიდარობას რეპორტიორების მიმართ. ჟურნალისტების იმ კორპუსს ვგულისხმობ, რომელსაც სამართლიანობა, სინდისიერება, პრინციპულობა და პროფესიონალიზმი აქვს.

როგორც ჩანს, ამ აქციებმა ხელისუფლება საერთოდ დააბნია. რეალურად, ეს არის ერთი კაცის ხუშტური, რომელსაც ყოველი ბუჩქის უკან სნაიპერი ელანდება. ამის გამო აბსურდული კომედიის გათამაშება იწყება. ჯერ საიდუმლო გრიფის მოხსნაზე საუბრობენ, მერე მიდის მარჩიელობა, საქმეს აღნიშნული გრიფი საერთოდ ადევს თუ არა. ყველაფერი მართლაც ბევრ კითხვას აჩენს.

**— უშუალოდ აბდალაძის „ვიდეოჩვენებას“ რაც შეეხება?**

— ბოლოს ვიხილეთ ადამიანის ე.წ. აღიარების პროცესი, რომელიც რაღაც ფანტასმაგორიებს ყვება. თითქოსდა 2002 წელს (მერე აღმოჩნდება, რომ ეს ამბავი 2000-ში ყოფილა) სადღაც ცხინვალში დააკავეს და პერმანენტულად ცემდნენ. ცემა-შესვენებების აღწერის პროცესი ელემენტარულ დრამატურგიასაც კი მოკლებულია. ამის შემდეგ ვერაფერი მოიფიქრეს და გიორგაძესთან დააკავშირეს.

ისეთს რას იღებდა ეს კაცი? ამის გადაღება მიტინგზე ნებისმიერ ადამიანს შეუძლია და სადაც უნდა იქ გადააგზავნის. ამის უფლება ყველას აქვს.

ჩვენ ვერ დავინახეთ, ამ ადამიანებს რა საიდუმლოებაზე მიუწვდებოდათ ხელი. ასევე ძალიან გაურკვეველი ამბავია, ფოტოგრაფი რა სტენოგრამებს წერდა. ბოლოს და ბოლოს, ფოტოს იღებდა თუ სტენოგრამას შიფრავდა? მერე თურმე, სხვა კომპიუტერთან მიდიოდა და იქ მუშაობდა. თუ ეს კომპიუტერი საიდუმლო მასალების შემცველი იყო, მაშინ პირველ რიგში ვაშაძე ყოფილა დასაჭერი.

**— მაინც რა „საიდუმლო მასალებზე“ შეიძლება იყოს საუბარი?**

— მთავარი კითხვა სწორედ ამაშია — ისეთი რა საიდუმლო აქვს ამ დაქცეულ და გაუბედურებულ ქვეყანას ამათ ხელში? თუ არა მათი პირადი საიდუმლოებები, ქონებრივ და სხვა ათას დანაშაულობებზე. ისეთი რა საიდუმლო გააჩნია ქვეყანას, რომლის ერთ მესამედს სხვა ქვეყანა აკონტროლებს. ყოველდღე ახალი საფრთხის წინაშე ვართ, რომ სხვა რეგიონში რაიმე აფეთქება არ მოხდეს.

ყოველივე ძალიან ბევრ გაურკვევლობას იწვევს. ასე რომ, გუშინდელ ჩვენებებს ვერანაირ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებ. ძალიან უნდოდათ, ამ კაცს რაიმე ეთქვა და მანაც თქვა; ალბათ, რაღაცის ხარჯზე. საუბარია ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე და ა.შ.

ფაქტი ერთია, რომ ფოტორეპორტიორების საქმე ძალიან ჰგავს სტალინის ეპოქის ექიმების საქმეს. მსგავსი ასოციაცია ჩნდება და ასეთ ქვეყანას უკვე მივუახლოვდით.

**— არსებობს მოსაზრება, რომ ფოტორეპორტიორების დაკავებით, რელიგიური გაერთიანებების კანონის მიღებასთან დაკავშირებული სკანდალის გადაფარვას შეეცადნენ.**

— გამორიცხული არაფერია; მაგრამ მათთან მომუშავე კადრების დაკავება რაში დასჭირდათ. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ შესაძლოა პირად მოტივებზე იყოს საუბარი. სამწუხაროდ, მარჩიელობა გვიწევს, რადგან რეალურად საქმის შესახებ არაფერი ვიცით; გარდა იმისა, რომ ისინი ნამდვილი შტირლიცები ყოფილან, ამათ სამსახურებში ჩანერგილები და ა.შ. მაგრამ რას გასცემდნენ, რა მიჰქონდათ და რა მოჰქონდათ, სრულიად გაუგებარია.

ერთადერთი ის არის, რომ ამათ ხელში ქვეყანა ჯოჯოხეთისკენ მიექანება. გარშემო რასაც ვხედავთ, ყველაფერი ამაზე მიანიშნებს. ბევრი ისეთი ვერაგული გეგმები აქვთ, რაზეც წინ დიდი სკანდალები გველის.

**— ხელისუფლების ასეთი ტიპის ნაბიჯები, როდესაც საზოგადოებრივი აზრის იგნორირება ხდება, ქვეყანას რას მოუტანს?**

— იგივე რელიგიური გაერთიანებების კანონის მისაღებად, არც მორალური და არც სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდათ. უნდა ეკითხათ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, ვისთანაც კონკორდატი აქვთ გაფორმებული. ამის სრული უგულებელყოფა მოხდა; მათ შორის პატრიარქის გამოსვლის სულისკვეთება არ გაითვალისწინეს.

მერე თვითონვე ნახეს, რომ ძალიან ცუდ რამეს ეთამაშებოდნენ. შედეგად მოხერხდა გარკვეული კონსენსუსის მიღწევა. თუ უკან არ დაიხიეს, გაჩერდნენ მაინც და გარკვეულ შემხვედრ ნაბიჯებზე წამოვიდნენ. მაგრამ რომ სინჯეს, უკვე ესეც დიდი თავხედობა-უზრდელობის და სისულელის გამოვლინებაა.

ასევე გაჩნდა საფრთხე, რომ ერებს შორის შუღლი გაღვივებულიყო. არ შეიძლება ასეთი სცენარი ვინმე ჭკუათმყოფელს აწყობდეს.

იხ. 4 გვ.

SIC!

# გამოაცხადებს თუ არა აშშ დეფოლტს?

## რა ელის მსოფლიოს ამ შემთხვევაში



**2 აგვისტოს იწურება ვადა, რომლის დადგომამდე ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ქვეყნის სახელმწიფო ვალის „ჭერის“ აწევის შესახებ. „ჭერი“ ნიშნავს იმას, რომ აშშ-ს უფლება აქვს, ჰქონდეს სახელმწიფო ვალი გარკვეულ ზღვრულ ნიშნულამდე. ამჟამად ეს ციფრი შეადგენს 14,3 ტრილიონ დოლარს.**

თუ დავაკვირდებით ამერიკის სახელმწიფო ვალის დინამიკას მე-20 საუკუნის განმავლობაში და 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში, აღმოჩნდება შემდეგი რამ (ვითვალისწინებთ ვალის რაოდენობის თანაფარდობას პროცენტებში მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ): პროცენტულად ყველაზე დიდი სახელმწიფო ვალი აშშ-ის ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1946 წელს, როცა მან მშპ-ს 121% შეადგინა. ეს გამოწვეული იყო დიდი სამხედრო ხარჯებით ომის დროს. ამავე დროს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომლიდანაც ამერიკა გამარჯვებული და ნაკლებად დაზარალებული გამოვიდა, მან შესძლო ეკონომიკის სწრაფი განვითარება, და 1960 წლისთვის ვალის და მშპ-ს შეფარდებამ დაიწია 60%-მდე. 1980 წლისთვის ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო, 33,4%-მდე შემცირდა.

ერთი შეხედვით, ამერიკის შეერთებულ შტატებს არაფერი ჰქონდათ სანერვიულო. მართალია, 1990 წლამდე ვალი ისევ გაიზარდა და მშპ-ს 56%-ს მიაღწია, მაგრამ ამ დროისთვის დაიშალა საბჭოთა კავშირი და ე.წ. სოციალისტური ბანაკი, რის შემდეგადაც აშშ მსოფლიოს ერთადერთ ზესახელმწიფოდ დარჩა. მსხვილი ამერიკული კაპიტალი, საფონდო ბირჟა, უოლსტრიტი, მსოფლიოს უალტერნატივო მმართველებად მოგვევლინენ. მე-20 საუკუნის 90-იანი წლები აღინიშნა ამერიკის ბატონობით თითქმის ყველა კონტინენტზე. ერთ დროს ზესახელმწიფოს სტატუსის მქონე რუსეთში (ყოფილი სსრკ-ის ძირითადი მემკვიდრეძ პროამერიკული ორიენტაციის პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწენი პარპაშებდნენ, რომლებმაც სხვადასხვა ამერიკულ ინსტიტუტებში თუ ფონდებში გაიარეს „მომზადება-გადამზადება“ და შემდგომში ერთგულად ემსახურებოდნენ ვაშინგტონს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ვალის შეფარდება მშპ-სთან ნელ-ნელა იზრდებოდა და 2006 წელს 65%-ს მიაღწია, ამერიკის ფინანსური ბატონობა მსოფლიოში ეჭვს არ იწვევდა.

მაგრამ 2006 წლიდან ამერიკის სახელმწიფო ვალმა სწრაფი ზრდა იწყო. 2010 წელს მისმა თანაფარდობამ მშპ-სთან 96,5% შეადგინა, ანუ სულ რაღაც ოთხ წელიწადში 30-ზე მეტი პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ერაყში და ავღანეთში გაჩაღებულმა ომებმა, როგორც ჩანს, წელში გატეხა ამერიკული ეკონომიკა და ფინანსები. შარშან მსოფლიოს უმსხვილესი ეკონომიკის მქონე ქვეყნის საბიუჯეტო დეფიციტმა ერთ ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. წლევანდელ საფინანსო წელს ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება. თუკი ყოველ წელს ამერიკის ხაზინა იძულებული შეიქნა ტრილიონ დოლარზე მეტი თანხა ისესხოს, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალის ზრდა კვლავ სწრაფი ტემპით გაგრძელდება.

მაგრამ უსასრულოდ ვალის აღება, როგორც ცნობილია, შეუძლებელია. ხშირად გაისმის ამგვარი მოსაზრება, რომ ამერიკის ვალი ნომინირებულია დოლარებში, ამ ვალუტის ბეჭდვის უფლება კი ფედერალურ სარეზერვო სისტემას აქვს. ამიტომ, ერთი შეხედვით, შტატებს შეუძლიათ დოლარების ახალ-ახალი პარტიები ბეჭდონ (უფრო სწორად, საბანკო კომპიუტერებში შესაბამისი ჩანაწერები აკეთონძ და ამით პრობლემაც თითქოს მოგვარდება, დროებით მაინც.

ოღონდ ყველაფერი ასე მარტივად არ არის. რაც უფრო იზრდება ვალი, მით უფრო მეტია მისი მომსახურების ხარჯები. თუკი ვალის მოცულობა ბევრად გადასცდა მშპ-ს ოდენობას, მსოფლიოს სარეიტინგო სააგენტოები შეამცირებენ აშშ-ის სუვერენულ (სახელმწიფოძ რეიტინგს, რომელიც ამჟამად უმაღლეს საფეხურზეა. ეს კი გამოიწვევს ამერიკის მიერ სესხად აღებული ფულის პროცენტის გაძვირებას და ვალის მომსახურება ამის გამო კიდევ უფრო ხარჯიანი გახდება. საჭიროა სხვა გამოსავლის მოძებნა. ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ ეს გამოსავალი შეიძლება იყოს ან საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდა, ან ხარჯების შემცირება.

პირველი ვარიანტი ნაკლებად სავარაუდოა, რადგან აშშ-მა თავად შექმნა ისეთი ეკონომიკური სისტემა მსოფლიოში, სადაც რეალური წარმოება ძირითადად გადავიდა ჩინეთში და სხვა განვითარებად ქვეყნებში. ეს ქვეყნები სწრაფად იზრდებიან ეკონომიკურად და კონკურენციას უწევენ განვითარებულ ქვეყნებს, მათ შორის ამერიკას. ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა მოახერხოს აშშ-მა შემოსავლების მკვეთრი გაზრდა არსებული ეკონომიკის პირობებში. რა თქმა უნდა, თეორიულად შეიძლება, ვთქვათ, გადასახადების გაზრდა, მაგრამ როგორც პრაქტიკა აჩვენებს, უმეტეს შემთხვევაში ეს ეკონომიკურ კრიზისს იწვევს და არა საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას.

რჩება მეორე გზა – ხარჯების შემცირება. სწორედ ამაზე მსჯელობენ ამჟამად ამერიკის პოლიტიკურ წრეებში და კონგრესის ორივე პალატაში. ხარჯების შემცირების ინიციატორებად გამოდიან ძირითადად რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები. განსაკუთრებით აქტიურობენ ამ პარტიის რადიკალური ფრთის - ე.წ. ჩაის სმის პარტიის აქტივისტები (მათი სახელი მოდის ცნობილი ისტორიული მოვლენიდან - „ბოსტონის ჩაის სმა“ძ.

ერთიც უნდა ითქვას – ამერიკის საბიუჯეტო კრიზისში, სხვაზე მეტად თუ არა, ნაკლებად როდი იყო დამნაშავე თავად რესპუბლიკური პარტია. სწორედ ბუშის რესპუბლიკური ადმინისტრაციის დროს დაიწყო ამერიკამ ომები ავღანეთსა და ერაყში, რაც ტრილიონობით დოლარი დაუჯდა ქვეყნის ხაზინას. დღეს კი აშშ-ის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, სხვადასხვა გამოკითხვების მიხედვით, მიიჩნევს, რომ ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად აუცილებელია საზღვარგარეთ ომების შეწყვეტა და ჯარის შინ დაბრუნება. მაგრამ საკითხავია, უშველის კი ეს უზარმაზარ საბიუჯეტო ხვრელს?

ხარჯების შემცირება, ანუ „ქამრის შემოჭერის პოლიტიკა“ საკმაოდ მტკივნეულია. დღეს ბევრ ევროპულ ქვეყანას უწევს ბიუჯეტის სეკვესტრირება. ეს სიტყვა ჩვენი ახლო წარსულიდან გვახსოვს, ახლა კი უმდიდრესი ევროპული სახელმწიფოები იძულებული არიან, ხარჯები შეამცირონ, მათ შორის სოციალური ხარჯები – შეკვეცონ პენსიები, ხელფასები და ა.შ. როგორც ჩანს, ახლა უკვე აშშ-ის ჯერიც დგება.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ამერიკელები არ ეშვებიან ერთპიროვნულ მსოფლიო ბატონობაზე ოცნებას და ჯიუტად ეპოტინებიან ერთადერთი ზესახელმწიფოს – მსოფლიო იმპერიის სტატუსს. ახლა მთავარი კითხვა, რომელიც ჩნდება, არის შემდეგი: რა მოელის მსოფლიოს და თავად ამერიკის შეერთებულ შტატებს, თუ რესპუბლიკელები და დემოკრატები ვერ შეთანხმდნენ და 2 აგვისტოს შემდეგ დეფოლტი მაინც დაშვებულ იქნა?

მცირე განმარტება: დეფოლტი შეიძლება იყოს „ტექნიკურიც“, ანუ არ მოხდეს რამდენიმე აუცილებელი გადარიცხვა, მაგრამ ხაზინის სხვა თანხების გაცემა არ შეფერხდეს (მაგალითად, პენსიებისძ. ამ შემთხვევაშიც, მსოფლიო სარეიტინგო სააგენტოები იმუქრებიან, რომ გადახედავენ აშშ-ის რეიტინგს, რაც, ეკონომისტების აზრით, ეკონომიკური კრიზისის მეორე ტალღის დაწყების წინაპირობა გახდება.

უფრო მეტიც, ექსპერტების უმრავლესობა ვარაუდობს, რომ ამჯერად კრიზისი გაცილებით უფრო გამანადგურებელი იქნება, ვიდრე 2-3 წლის წინათ იყო. ზოგი მას „ეკონომიკურ არმაგედონს“ უწოდებს. თუმცა, საკმაოდ ცოტა ექსპერტს სჯერა, რომ აშშ-ის დეფოლტი რეალურად მოხდება 2 აგვისტოს.

ჩვენი აზრით, მართალია, მოვლენათა ამგვარი განვითარების ალბათობა ამ ეტაპზე მცირეა, მაგრამ მისი გამორიცხვაც არ შეიძლება. შესაძლოა, აშშ-ის გარკვეულ წრეებს გათვლილი ჰქონდეთ, რას მოუტანს დეფოლტი და შესაბამისად, მსოფლიო ეკონომიკაში შექმნილი კრიზისი, სხვა ქვეყნებს და თავად აშშ-ს. როგორც ცნობილია, სწრაფად განვითარებად ქვეყნებიც კი, როგორიცაა ჩინეთი და სხვები, ამჟამად დიდად არიან დამოკიდებული ამერიკის საფინანსო სისტემაზე. ჩინური ექსპორტის დიდი ნაწილი მოდის ამერიკის ბაზარზე. ჩინეთი ფლობს 3 ტრილიონზე მეტი ღირებულების ვალუტას, ძირითადად დოლარებს. დეფოლტის შემთხვევაში ეს რეზერვები ფარატინა ქაღალდად იქცევა, ხოლო ჩინეთის ეკონომიკაში ბევრად უფრო ძლიერი კრიზისი დაიწყება, ვიდრე 2008-2009 წლებში იყო. ანალოგიური და უფრო პესიმისტური პროგნოზების გაკეთება შეიძლება ისეთი ქვეყნების მიმართ, როგორებიცაა რუსეთი, რომელიც ნავთობის ფასებზე ძლიერადაა დამოკიდებული, და აშშ-ის სხვა კონკურენტების მიმართ. ვინ იცის, იქნებ ამერიკელ სტრატეგებს უკვე დათვლილი აქვთ სავარაუდო სცენარები და ახლანდელი მომენტი ერთ-ერთი მათგანის რეალიზაციისთვის ხელსაყრელად ჩათვალონ. მაშინ ძალზე საინტერესო მოვლენების მომსწრენი გავხდებით.

მაგრამ თუ ამერიკულმა ისტებლიშმენტმა სხვა გზა აირჩია, ანუ ამჯერად მოახერხა შეთანხმება სახელმწიფო ვალის გაზრდის შესახებ, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ დღევანდელი სიტუაცია დროებით გაგრძელდება კიდევ 1,5-2 წელი, სანამ ამერიკის ვალი ახალ ზღვრულ ნიშნულს არ მიაღწევს. ეს კი, ამერიკის პოლიტიკაში კარდინალური ცვლილებების გარეშე, თითქმის გარდუვალია.

**გიორგი ვეკუა**

სამართლებრივი ფარსი

# ნუკრი ქანთარია: ქვეყანა ჯოჯოხეთისკენ მიექანება

**(მესამე გვერდიდან)**

არასამთავრობოს წარმომადგენელ არნოლდ სტეპანიანს ე.წ. ქსენოფობიური გამონათქვამების სიაც კი შეუდგენია და როგორც მითხრეს, მასში მეც შევუყვანივარ. ძალიან მაინტერესებს, რომელი გამონათქვამით სარგებლობს. სად და როდის ნახა, რომ რომელიმე ერზე თუნდაც ხუმრობით რაიმე მეთქვას. იქნებ დაასაბუთოს, რას ემყარება მისი გამონათქვამები.

**— საით მივყავართ პროცესების რადიკალიზაციას?**

— ხელისუფლებამ ალბათ მომენტი დაიგულა. საერთოდ, ზაფხულში ცდილობენ ხოლმე, რომ რაღაცეები მოასწრონ. ძირითადი მიზანია, ყველაფერი წელში გადატეხონ და მომავალი არჩევნებისთვის მიიღონ დაუძლურებული, დაბეჩავებულ-დაჩაგრული ხალხი, რომელსაც როგორც მოუნდებათ ისე მართავენ. ცდილობენ, წინა პლანზე გამოსული ყოველგვარი ნაპერწკლები ახლავე ჩააქრონ. არ მოხდეს ამ ნაპერწლების შეგროვება, არ გაჩაღდეს დიდი ცეცხლი, რომელიც მათ წალეკავს.

მაგრამ ამით, პირველ რიგში ქვეყნის ინტერესები აღმოჩნდება საფრთხის წინაშე. მაინც მგონია, რომ არაფერი გამოუვათ, იმდენად სახიფათო ცეცხლს ეთამაშებიან. ისინი არა ერთ კონკრეტულ ჯგუფზე, არამედ მთლიანად საზოგადოებაზე გადმოვიდნენ; საუბარია ერის ინტერესებზე და ვფიქრობ, ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება საზოგადოების მეტ კონსოლიდაციას გამოიწვევს. თუ დავაკვირდებით, ამის ნიშნები უკვე შეიმჩნევა.

**— სად არის ამ დროს პოლიტიკური ოპოზიცია?**

— ოპოზიციური სპექტრი ისე დახლიჩეს და გაფანტეს, რომ ერთმანეთის მიმართ ზიზღიც კი იყო გაჩენილი. მათ ერთმანეთის დანახვა და ერთად დგომაც კი აღარ უნდოდათ. ვფიქრობ, ეს ეტაპი ნელ-ნელა გადადის, რადგან საფრთხე რეალურია. გარკვეული კონსოლიდაციის ნიშნებს უკვე ვხედავ.

საზოგადოებრივი ერთიანობა გვჭირდება. სამოქალაქო მოძრაობა უკვე დაიწყო და სექტემბერში მის გააქტიურებას ველი. რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკურ სპექტრთან ერთად მოხდება.

**— პირველ რიგში რა ნაბიჯებს ელით საზოგადოებრივი-სამოქალაქო მოძრაობისგან, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ საფუძველი ჩაეყარა?**

— ერთიანი განწყობა უნდა შეიქმნას ქვეყნის ჩიხიდან გამოსაყვანად. ქვეყნის გადარჩენა, ახალი, სამართლიანი ხელისუფლებისთვის ბილიკების გაკვალვა უნდა მოხდეს. ეს გზა აუცილებლად უნდა გამოჩნდეს, რომ ჩვენ მართლაც შევძლოთ თავისუფალი არჩევანის გაკეთება. უსიერი ტყე უნდა გაიკაფოს და ამ გზას მყარად უნდა დავადგეთ.

ამისთვის, პირველ რიგში, განწყობები უნდა შეიცვალოს. სამართლიანი საარჩევნო გარემო უნდა ჩამოყალიბდეს. ადამიანებს თავისუფალი არჩევანის მოთხოვნილება უნდა გაუჩნდეთ. ამის აუცილებლობა უნდა შეიქმნას. ამ მხრივ ძალიან რთული და ბევრი სამუშაოა. ეს ეხება როგორც პოლიტიკურ სპექტრს (რომელსაც ამ პროცესის მიმართ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აქვსძ, ასევე საზოგადოების იმ ნაწილს, ვინც თვლის, რომ თვალი არ უნდა დაუხუჭოს საშინელებებს, რომლებიც ჩვენს ირგვლივ ხდება.

**მერაბ ბრეგაძე,**
Presage.tv

ინფორმაცია

### ამერიკის მოსწავლეთა ნახევარი რუკაზე თავის ქვეყანას ვერ პოულობს

**აშშ-ის დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლეთა 50 %-ზე მეტს წარმოადგენა არ აქვს, თუ სად მდებარეობს რუკაზე მათი ქვეყანა. აღნიშნული შედეგი აშშ-ს განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო.**

**პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი აცხადებს, რომ ასეთი სიტუაცია განპირობებულია იმით, რომ თანამედროვე სკოლებში დიდი ყურადღება ეთმობა მათემატიკის შესწავლას ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებების ხარჯზე.**

**— ვინაიდან აუდიტორული დრო სულ უფრო და უფრო ძვირფასი და დეფიციტური ხდება, გეოგრაფია და სხვა საგნები, ისეთები როგორებიცაა ისტორია და ხელოვნებათმცოდნეობა იკარგება ამ მოუგებელ თამაშში ტესტებზე ძალიან დიდი მოთხოვნით, —აცხადებს პროფესორი.**

ჯი-ეიჩ-ენი

გლობუსი

# „ბედნიერი“ ქვეყანა

**ასაქს რა ვუთხრა თორემ აქ გამჩერებლის დედაო — მითხრა ერთმა ახლობელმა კაცმა და ისიც დააყოლა — მე არავის ვჭირდები, ჩემს შვილებსაც კი, რომლებიც კარგა ხანია ამერიკაში ცხოვრობენო. ერთის შეხედვით ამ სიტყვებში გასაკვირი არაფერია, არც გულის გასახეთქია რამე. დამოუკიდებლობის ოცმა წელმა არაერთ უბედურებას გვაზიარა, შეგვაჩვია გასაჭირს — ომებსა და შიმშილს, გაყინულ ზამთარში გათბობისა და შუქის გარეშე არსებობას, პურზე გრძელ რიგებსა და მხედრიონელთა განუკითხაობას, ერთმანეთის გაუტანლობას, ტყუილს, ტყუილს, ტყუილს, საკუთარი აუწყობლობის სხვაზე გადაბრალებას, თავის გასამართლებლად მუდამ ვიღაცის დადანაშაულებას. ამ ხნის განმავლობაში ქართული პოლიტიკური ლექსიკის ძირითადი შემადგენელი გახდა სიტყვები — ჩაგვითრიეს, შეგვიტყუეს, მოგვატყუეს. განვლილმა ოცმა წელმა დაგვანახა მთავარი — ქვეყნის დამოუკიდებლად შენება არცთუ იოლი ყოფილა, რომ „ბორჯომი“, ჩაი და კურორტები ვერ გადაგვარჩენს.**

საბჭოთა პერიოდის დასასრულს ჩამოყალიბებული ეს ფუძესავატური წვდომა ქვეყნის დამოუკიდებლობის ურთულესი მექანიზმი, თავისებური სვლაგეზი აღმოჩნდა მოულოდნელი დამოუკიდებლობის დროს. სხვას ვერაფერს იტყვი დღევანდელი ხელისუფლების შემყურე მაგალითებიდან გამომდინარე. ხელისუფლება მოჭარბებული ენთუზიაზმით აცხადებს იმას, რის წინააღმდეგაც გუშინ სიბრაზით ამბობდა — საბჭოთა კავშირის დროს საქართველოს გართობის, ცეკვა-თამაშის, დახუნძლული სუფრების ორგანიზატორის პრიმიტიული როლი ჰქონდა მინიჭებულიო. არადა იმჟამინდელ საქართველოს ტურიზმთან და დროსტარებასთან ერთად სხვა ფუნქციაც ჰქონდა — განვითარებული მრეწველობით, სოფლის მეურნეობით, მეცნიერებითა და კულტურით. იმ სიკეთეებიდან, ერთის შეხედვით ყველაზე მარტივს, ადვილად შესასრულებელს მოვკიდეთ ხელი ან უფრო სწორად მოგვაკიდებინეს. თქვენი საქმე არც მრეწველობაა და არც სოფლის მეურნეობა, მით უმეტეს მეცნიერება — თქვენი საქმე სხვისი ფეხის გულების ფხანა, ჩემოდნების თრევა და იმ უდიდესი საქმის კეთებაა, რასაც კმაყოფილი უცხოელი ჰქვიაო — დაგვმოძღვრეს მათ. რა სჯობს ამ იოლი საქმის კეთებას? ააშენებ სასტუმროს, ჩამოიყვან უცხოელ მომღერლებს, მოიზიდავ ტურისტებს ხინკალსა და ხაჭაპურზე და ააშენებ ქვეყანას. როგორც ჩანს, ტურიზმის მექად წოდებულ ესპანეთს, იტალიას, საფრანგეთს, შვეიცარიას, სხვებს და სხვებს ტყუილად უწვალიათ ტურიზმთან ერთად სხვა დარგების განვითარებისთვის.

ერთ პატარა მაგალითს მოვიყვან — სულ ახლახანს შვიდმილიონიანმა შვეიცარიამ (ტერიტორია — 40.1 ათასი კვ. კილომეტრიძ უზარმაზარი, უნიკალური ცემენტის კომბინატი ააშენა რუსეთში. თვალუწვდენელ ტერიტორიაზე გაშენებულ კომპლექსში ცემენტის ნასახს ვერსად ნახავთ, გარდა დაფასოებული, ტომრებში ჩაყრილი პროდუქციისა. წარმოების პროცესი იმდენად კომპიუტერიზებულია, რომ იქ მომუშავე მუშას, თუ მას მუშა შეიძლება ეწოდოს, მინიმალური შანსიც არ აქვს შეეხოს ცემენტს. ამ საოცრების შემქმნელი შვეიცარიაა, ზამთრისა და ზაფხულის კურორტებით და ტურიზმით სახელგანთქმული. შვეიცარია ცნობილია დახვეწილი მეტალურგიით, გამოშვებული ფოლადის მაღალი ხარისხით, უზუსტესი მექანიზმების წარმოებით, საათებზე რომ არაფერი ვთქვათ. შვეიცარიის ხელისუფლებას, შესანიშნავი ბუნების შემყურეს, არასოდეს მოსვლია თავში მარტო ტურიზმზე აქცენტის გაკეთება. ან ავიღოთ ყბადაღებული სინგაპურის მაგალითი. იქ რომ ტურიზმია, მთლად რომ გავიფხრიწოთ ვერაფრით მივაღწევთ იმ დონეს, მაგრამ ტურიზმი მეორეხარისხოვანია, უფრო სწორად დანამატია დახვეწილი ეკონომიკის, საბანკო სისტემის, ინფრასტრუქტურის.

**ისე ნუ გამიგებთ ტურიზმის განვითარებას ვეწინააღმდეგებოდე, მაგრამ მარტო ტურიზმი, თანაც ინფრასტრუქტურის გარეშე — განწირულია, მასთან ერთად განწირულია ქვეყანაც, რამეთუ საერთაშორისო არენაზე ოდნავი ეკონომიკური ბორძიკი უპირველესად ტურიზმზე აისახება.** სამწუხაროდ, მსოფლიოს ეკონომიკური მაჯისცემა ჩენი თინეიჯერი ხელისუფლებისთვის ისეთივე უცხო ხილია, როგორც პაპაი. არადა, ეკონომიკური კრიზისი, რომელიც სამი წელია მძვინვარებს, კარგს არაფერს უქადის კაცობრიობას. პლანეტის საფინანსო-ეკონომიკურ ლოკომოტივად წოდებული აშშ დეფოლტის პირას არის მისული. არნახული სახელმწიფო ვალი — 14 ტრილიონ 300 მილიონი დოლარი დასახრჩობი თოკივით ეჭირება ობამას ადმინისტრაციის კისერს და თუ მან ვერ მოახერხა ოპოზიციონერ რესპუბლიკელებთან მოლაპარაკება ა. წ. 2 აგვისტოს აშშ-ს დეფილტი არ ასცდება. არ გაამართლა ოპტიმისტი ექსპერტების ვარაუდმა — უმუშევრობის შემცირებასთან დაკავშირებით, არც ეკონომიკური წინსვლა დაფიქსირდა. უმუშევრობის რაოდენობამ 9.1 პროცენტს გადააჭარბა — არნახულს ამ ქვეყნისთვის.

რთული ვითარებაა ევროკავშირშიც. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ საბერძნეთს გვერდს უმშვენებენ პორტუგალია, ესპანეთი, იტალია. მათ მილიარდობით ევროს დახმარება ესაჭიროებათ. სპეციალისტთა აზრით თუ ამ ქვეყნებმა კრიტიკულ მდგომარეობას თავი დააღწიეს, მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ზედმეტი იქნება ხელფასებისა და პენსიების მატებაზე, სოციალური დახმარების პროგრამებზე ლაპარაკი, ერთი სიტყვით კარგი ცხოვრება ისტორიას ჩაბარდება, გაჭირდება დასაქმებაც და სხვა. ასეთ ვითარებაში ვინ იფიქრებს დასვენებაზე? თანაც „ზღაპრული“ ბათუმისა და ანაკლიის მონახულებაზე? ცხადია, არავინ. ამერიკა-ევროპის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით კატასტროფულად შემცირდა ტანსაცმლის, სხვადასხვა ნივთების შეძენა. ხალხი ზოგავს ფულს. უმუშევარი, ხვალინდელი დღის პერსპექტივამოკლებული დასავლელი საქართველოს ნახევისთვის თავს არ მოიკლავს.

ზაფხულის ტურისტული სეზონი რახანია დაიწყო, მაგრამ ტურიზმით ცნობილი საბერძნეთში ხალვათობაა, თანაც ისეთი — უცხოელს განახევრებული ფასებითაც რომ ვერ იზიდავენ. ანალოგიური ვითარებაა ტუნისშიც. ამას წინათ „ევრონიუსის“ ეთერში მოკლე სიუჟეტი გავიდა ამ ქვეყნის ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით. გაოცებული, თანაც გახარებული გერმანელი ტურისტი ამბობდა — სასტუმრო თითქმის ცარიელია და მთელი მომსახურე პერსონალი თავს გვევლებაო. როგორც ჩანს აჭარის სანაპიროს ტურისტული აგვისტო მხოლოდ რეგიონის ტურისტებით თუ შეივსება. რა გაეწყობა ასეთია მსოფლიო ეკონომიკური კონიუნქტურა. რასაც ვერც სტინგი, ვერც დომინგო, მით უმეტეს წურწუმია-კიკაბიძე ვერ შეცვლის. პირველი ორის მიერ გაკეთებული რეკლამა ქარს გატანებული აღმოჩნდა. არადა რა ძვირი დაჯდა მათი სიმღერა, რა ძვირი დაჯდა უცხოურ ჟურნალ-გაზეთებსა და ტელევიზიებში გაშვებული რეკლამები თვალწარმტაცი, ძლევამოსილი საქართველოს შესახებ. რომ იტყვიან, გარეთ მტერს ვუზრმავებთ თვალს, შიგნით მოყვარესო. ეკონომიკური პროგრესის მეზაირალე საქართველო, რომელიც 101 ქვეყანას უსწრებს, მათ შორის 97-ე ადგილზე მყოფ ნომერ პირველ მტერ რუსეთს, უხვად ამარაგებს ეკონომიკური მიგრანტებით ჩამორჩენილ მეზობელს, სხვა „დუხჭირ“ ევროპულ ქვეყნებს. ფული ჯოჯოხეთსაც ანათებს, თორემ ამ რეიტინგის შემდგენელ რესპექტაბელურ ორგანიზაციებს ცალი თვალი რომ შეევლოთ საქართველოს მოსახლეობის გაუსაძლისი ცხოვრებისთვის, 100-ლარიანი პენსიის, არნახული უმუშევრობის, რეკორდული ინფლაციის და განუკითხაობისათვის არავითარი სურვილი არ გაუჩნდებოდა მსგავსი ფალსიფიცირებული რეიტინგების გამოსაცხობად. მარტო სახელმწიფო მოხელეთა და მათზე მიტმასნილ ბიზნესმენთა შემოსავლებით იზომება ქვეყნის კეთილდღეობა? არც დიპლომში არსებული ამერიკული სკოლისა და საბავშვო ბაღის წლიური გადასახადია ქვეყნის კეთილდღეობის ბარომეტრი — შესაძლოა პირიქით, კორუფციის მაჩვენებლად გამოდგეს. პირველში სწავლის წლიური ფასი 22.000 აშშ დოლარია, მეორეში — 18.000. ორივეში უხვად სწავლობენ „პატიოსანი“ ქართველების შვილები. ამის შემხედვარე ამერიკელს ყოფნის თავხედობა საქართველოს არაკორუმპირებული ქვეყანა უწოდოს. სულ ახლახანს ქალაქის მერი უგულავა პატრიოტიზმზე ელაპარაკებოდა თინეიჯერებს, არადა მტვრიანი, ტალახიანი, ჭუჭყიანი ქუჩების პატრონი მერის პატრიოტიზმი, ქალაქის კეთილდღეობა უნდა იყოს და არა პოლიტიკური დემაგოგია. **ქალაქში სადაც მთელ რიგ რაიონებს, სხვადასხვა საბაბით, წყალი წამალივით მიეწოდება, სადაც ხანმოკლე წვიმის შემდეგ ქუჩების გადასაკვეთად ნავია საჭირო, სადაც კარგა ხანია არავის მოფიქრებია სანიაღვრეების, მიწისქვეშა კომუნიკაციების გარემონტება, თავს უფლებას არ უნდა აძლევდეს დიდაქტიკური რიტორიკისათვის. ყველა მანკიერების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ისე, როგორც უცხოელთა მიერ გამოცხობილი ყალბი რეიტინგები. საქართველოს მოსახლეობას არ აკმარეს ხელისუფალთა სისტემატური ბაქი-ბუქი, ახლა უცხოელებიც ზედ დაუმატეს. ისინიც გვაწვებიან — რა გადასარევ ქვეყანაში ცხოვრობთო.** თითქოს ჩვენ არ ვიცით სად, როგორ და რით ვცხოვრობთ. ეკონომიკურ შეტევასთან ფსიქოლოგიურიც ერთვის. ორივე ერთად მძიმე ასატანია — შიზოფრენიას იწვევს. ამიტომაც აწყდება გზააბნეული ქართველი ახლობელ თუ შორეულ ქვეყნებს — ოღონდ ეს არ გაიგონ, ოღონდ შიმშილისგან იხსნან თავი მზად არიან ისეთ ჯოჯოხეთში იმუშაონ, რასაც შესანიშნავად აღწერს ჟურნალისტი ია მერკვილაძე — ამერიკაში მცხოვრებ, სხვის უკანალის მხოცავ ძალებზე.

გასულ კვირას ცნობილმა ებრაულ-რუსულმა ტელეკომპანია RTVI-მ ერთსაათიანი სიუჟეტი მიუძღვნა ქართულ სასწაულებს. „ეხო მოსკვის“ რედაქტორი ალექსი ვენედიქტოვი და ჟურნალისტი ტატიანა ფელგენგაუერი სულმოუთქმელად ყვებოდნენ სააკაშვილის „სასწაულებზე“. გასაკვირი არაფერია. თანამედროვე ჟურნალისტიკა ცნობილია გამყიდველობით — გადაიხდი და რასაც შემკვეთი ისურვებს, იმას იტყვის. მსგავს რეპორტაჟებს უკვე მივეჩვიეთ, ამდენად იავნანასავით გვესმის. **მაგრამ გადაცემაში იყო მეტად მნიშვნელოვანი მოსაზრებაც — ანუ ის, რომ სააკაშვილი მომავალში დაიკავებს პრემიერ-მინისტრის სავარძელს. და ეს ითქვა ყოველგვარი აღშფოთებით, ყოველგვარი გაღიზიანებით. თუნდაც ტელეკომპანიისთვის ჩვეული ცინიზმის გარეშე, რაც იმის მომასწავებელია, რომ დაიწყო უცხოელთა მიერ სააკაშვილის იდეის „გაპრავება“.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**



როდის იყო ერგნეთის ამბავი?

# აბდალაძე ცხინვალში მე გავუშვიო, აცხადებს „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი

**ფოტორეპორტიორ გიორგი აბდალაძის აღიარებით ჩვენებაში აღმოჩენილ უზუსტობას გაზეთ „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტმა ზვიად გურულმა სტატია მიუძღვნა. სტატია სათაურით „აბდალაძე ცხინვალში მე გავუშვი“... გაზეთ „კვირის პალიტრის“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**

სტატიაში ზვიად გურული ვრცლად ყვება იმ ფაქტებზე, რაზეც „ინტერპრესნიუსს“ გუშინწინ ესაუბრა. მისი თქმით, ერგნეთში ფოტორეპორტაჟის გადასაღებად გიორგი აბდალაძე 2000 წელს წავიდა და არა 2002 წელს, როგორც ის ამას პროკურატურის მიერ გავრცელებულ აღიარებით ჩვენებაში ამბობს.

„ცხადია, აქამდეც ეტყობოდა, რომ ეს „საქმე“ „თეთრი ძაფით იყო ნაკერი“, თანაც ძალზე უხარისხო ძაფით და სწორედ ამიტომ, ჩვენი „პალიტრამედიის“ გამოცემების ხელმოწერაც გახლავთ სხვა მედიასაშუალებებს შორის იმ მიმართვაზე, რომელშიც დიპლომატიურ კორპუსს, საერთაშორისო ჟურნალისტურ გაერთიანებებს, საქართველოს ხელისუფლებასა და საზოგადოებას ვთხოვთ, ყურადღება არ მოადუნონ ამ საქმის მიმართ და მხარი დაუჭირონ საზოგადოების მიერ პატივცემული ადამიანების შუამდგომლობას ჟურნალისტების თავდებით გათავისუფლების შესახებ.

მომავალშიც, სხვა ჟურნალისტებთან ერთად, არ დავიღლებით ჩვენი უდანაშაულო კოლეგების უფლებებისთვის ბრძოლით, რადგან ამ შემთხვევაში არ არსებობს კორპორატიული ინტერესები და მნიშვნელობა არ აქვს, ვინ სად მუშაობს — ახლა, სხვას რომ თავი დავანებოთ, კოლეგიალური სოლიდარობა მაინც უნდა გამოვიჩინოთ“, — წერს გურული სტატიაში.

იქვე ჟურნალისტი ვრცლად ყვება, თუ რამდენად აქტუალური თემა იყო ერგნეთის ბაზრობა 2000 წელს, სადაც კონტრაბანდული საქონლით ვაჭრობდნენ. მას შემდეგ, რაც დოლიძემ ჟურნალ „გზისთვის“ ერგნეთიდან რეპორტაჟი ჩამოიტანა, იქ, მძღოლთან ერთად, გაიგზავნა ფოტორეპორტიორიც ფოტოების გადასაღებად.

მისივე თქმით, აბდალაძე ერგნეთიდან იმავე დღეს უნდა დაბრუნებულიყო, რადგან მასალა მეორე დღის ნომერში უნდა დაბეჭდილიყო. მოგვიანებით, რედაქციამ მიიღო ინფორმაცია აბდალაძისა და მძღოლის დაკავების შესახებ.

**„შეუსაბამობა რატომ მოხდა აბდალაძის ჩვენებასა და ამ ამბავს შორის, არ ვიცი. ჩემთვის მაგალითად, წარმოუდგენელია, ადამიანის ცხოვრებაში ამხელა რამე მოხდეს, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურზე მუშაობა დაგავალონ და არ გახსოვდეს, რომელ წელს იყო ეს“,** — აღნიშნავს ზვიად გურული.

ფოტორეპორტიორი გიორგი აბდალაძე აღიარებით ჩვენებაში ყვება, თუ როგორ დაითანხმეს რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზე.

აბდალაძე ამბობს, რომ 2002 წელს, როდესაც გაზეთ „კვირის პალიტრის“ ფოტოკორესპონდენტი იყო, რედაქციიდან ერგნეთში მივლინებით გააგზავნეს. ე.წ. სამხრეთ ოსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა მძღოლთან ერთად ნეიტრალურ ტერიტორიაზე დააკავეს და სცემეს. წაიყვანეს ცხინვალში, სადაც გაჩხრიკეს და პრეზიდენტის კანცელარიის აკრედიტაცია, ასევე, დიქტოფონი აღმოუჩინეს, რომლითაც მის დაკავებას იწერდა.

აბდალაძის თქმით, ამის შემდეგ უარესად სცემეს. გადასცეს დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ის ბრალდებული იყო ჯაშუშობაში და ცხინვალის ტერიტორიაზე დივერსიული ოპერაციის ჩატარებაში. ჩვენების მიხედვით, გამთენიისას იგი სხვა ადგილზე გადაიყვანეს, სადაც ორი რუსი სამხედრო დახვდა. მათ მიაწოდეს ინფორმაცია, რომ მძიმე მუხლი ჰქონდათ წაყენებული, რომელიც 9-წლიან პატიმრობას ითვალისწინებს. ამასთან, აბდალაძე აღნიშნავს, რომ თუ არ ითანამშრომლებდა მათთან, დაუდეს ძმების, დების ფოტოები და მათი ლიკვიდირებით დაემუქრნენ. თანამშრომლობის შემთხვევაში კი გასამრჯელოს დაჰპირდნენ.

გამოსვლისას დე ფაქტო უშიშროების მინისტრმა უთხრა, რომ თავისუფალი იყო და ერგნეთთან ჟურნალისტები დახვდებოდნენ.

ერთი წლის შემდეგ კი, როდესაც სამსახური შეიცვალა და სხვა რედაქციაში გადავიდა, მეტრო „რუსთაველთან“ უცნობი პირი შეხვდა, რომელმაც ცხინვალის ხელშეკრულება შეახსენა და უთხრა, რომ იგორ გიორგაძის პარტიას უნდა დახმარებოდა. მან პარტიის მისამართი მისცა და უთხრა, რომ იქ უნდა მისულიყო.

გიორგი აბდალაძის აღიარებითი ჩვენების ვიდეოჩანაწერი 18 ივლისს გავრცელდა.

**ინტერპრესი**

**ვითომ?**



*„რაკი ყველა სხვა გზა დამეხშო, მე კი ფარხმლის დაყრას არ ვაპირებ, ამიტომ განვიზრახე — ჩემი დარჩენილი სიცოცხლის აქტიური ნაწილი დავხარჯო პოლიტიკურ ასპარეზზე. ბუნებრივია, დიდად მაინტერესებს, როგორ შეხედავდნენ ჩემს ამ გადაწყვეტილებას და რა კითხვებზე პასუხებს ისურვებდნენ ჩემი „ფეისმეგობრები“: იქნებ ვცდები?... 5000 მეგობრის აზრის გათვალისწინება ხუმრობა საქმე სულაც არაა! დანარჩენი ამის მერე გამოჩნდება.“*

*ეს გამოსვლა ენათმეცნიერ ლევან ღვინჯილიას ეკუთვნის, რომელმაც იგი სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ გამოაქვეყნა, მიზანი სტატუსშივე ჩანს. „პრესა.ჯი“-მ გადაწყვიტა გაერკვია, ეს უბრალოდ ინტერნეტხუმრობა იყო თუ, ლევან ღვინჯილია მართლაც პოლიტიკაში მიდის. მართალია მან ფაქტი დაადასტურა, მაგრამ საკითხის დაკონკრეტებისგან, თავი შეიკავა.*

*ლევან ღვინჯილია: იქ, ჩემი „ფეისბუქის“ სტატუსში, ყველაფერი წერია. დაველოდოთ და დანარჩენი მერე გამოჩნდება.*

# ლევან ღვინჯილია პოლიტიკაში მიდის

**— რომელ პოლიტიკურ პარტიას უერთდებით?**

— ვიტყვი, ოღონდ — ცოტა მოგვიანებით. ვფიქრობ, ამ თვის ბოლოს გავახმაურებ დეტალებს და საბოლოო გადაწყვეტილებას. ჯერჯერობით ეს მხოლოდ განზრახვაა. მანამდე კი ჩემი „ფეისმეგობრების“ გამოკითხვა მაქვს და მაინტერესებს, რა აზრი გამოიკვეთება, რადგან იქ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები ამოვიკითხე. ზოგი მირჩევს არ წავიდე პოლიტიკაში, ზოგი — პირიქით, მიწონებს გადაწყვეტილებას. მინდა გავითვალისწინო იმ ადამიანთა თვალსაზრისი, რომლებიც ჩემთან დამეგობრებულები არიან, თუმცა ბევრ მათგანს პირადად არ ვიცნობ.

**— არის მოსაზრება, რომ ვისაც წასასვლელი არსად აქვს, პოლიტიკაში მიდის... ეთანხმებით?**

— მეც გამიგონია, რომ პოლიტიკაში ძირითადად ხელმოცარული სამოსნები და ასევე დაკომპლექსებული ადამიანები მიდიან, რომელთაც დიდი სურვილი აქვთ ზემოქმედება მოხდინონ, ან გავლენა იქონიონ სხვა ადამიანებზე. ეს, ცნობილი თვალსაზრისია, ჩემი მოგონილი არ არის, თუმცა გამონაკლისი შემთხვევებიც არსებობს.

**— თქვენ გამონაკლისი ხართ?**

— ჯერ არ ვიცი, ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ. დღეს საქართველოში ისეთი მდგომარეობაა, რომ სასურველია, სხვა კატეგორიის ადამიანები მომრავლდნენ იქ, იმ „საკრალურ“ სფეროში, რომელსაც პოლიტიკას ეძახიან.

**— ძალიან ხშირად კრიტიკის ქარცეცხლში ატარებთ ჟურნალისტებს და განსაკუთრებით - ტელეჟურნალისტებს, მასმედიისათვის ახალი ძალებით შემოტევას ხომ არ აპირებთ პოლიტიკური ტრიბუნიდან?**

— ჟურნალისტებს აქამდეც საკმაოდ სუსხიანად ველაპარაკებოდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ არანაირი „სუსხი“ მათზე არ მოქმედებს. ამიტომ, როგორც ჩანს, ეს საკითხი სხვანაირად უნდა მოწესრიგდეს. უშუალოდ ჟურნალისტებს კი არა, მათ მეთაურებს უნდა მიხედო. აი, მანდ არის ძაღლის თავი დამარხული.

**— მართალია, კონკრეტული ოპოზიციური პარტიის დასახელებისგან თავს იკავებთ, მაგრამ, რომ გვითხრათ, კონსტრუქციული ოპოზიციის გვერდით დადგებით, თუ — რადიკალურის?**

— კონსტრუქციული და რადიკალური, ცოტა არ იყოს, პირობითი ცნებებია. ჩვენთან, საქართველოში ეს თვალსაზრისი ნათლად და საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის.

**— მაშინ ასე ვთქვათ: ოპოზიციის იმ ნაწილთან, რომელიც გარკვეულწილად თანხმდება ხელისუფლებასთან, თუ მეორე ნაწილთან, რომელიც ბოლომდე ეწინააღმდეგება მას.**

— ჩემი სამოქმედო არეალის გათვალისწინებით, თავიდანვე ვიყავი გარკვეული შეთანხმებების მომხრე ხელისუფლებასთან, რადგან ის საქმიანობა, რომელსაც მე ვეწეოდი, ხელისუფლებს მხარდაჭერის გარეშე ვერ განხორციელდებოდა. ხელისუფლებამ კი, მხარდაჭერის ნაცვლად (როგორც ერთი ჩვენი თანამედროვე პოეტი იტყოდაძ მოახდინა საკითხის იგნოლ-ირ-ება, ანუ ნოლამდე დაყვანა( ისე, უფრო სწორია — „ნული“!ძ. თუმცა, ხვალვე რომ გამოიჩინონ იმ საკითხების მოწესრიგების სურვილი, რაც მე მიმაჩნია მოსაგვარებლად, რა თქმა უნდა, მათ წინადადებას მივიღებ და დაველაპარაკები.

**— თქვენი საუბრიდან ისეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ კონსტრუქციულად განწყობილ ოპოზიციონერთა რიგებში იქნებით?**

— ვერ გეტყვით, თუმცა მე დაახლოებით ვხვდები, თქვენ ვინ შეიძლება გყავდეთ მხედველობაში და, თუ ეს ასეა, ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრები ერთმანეთს აცდა. ქალაქში დადის ჭორები, თითქოს მე „ქრისტიან-დემოკრატი“ ვიყავი. ეს ასე არ არის. უბრალოდ, „ქრისტიან-დემოკრატების“ რეკომენდაციით და მხარდაჭერით საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარობის კანდიდატი ვიყავი მთაწმინდის ოლქში. ამის შემდეგ, არანაირი თანამშრომლობა მათთან არ მქონია. ანუ, ეს არ არის არც „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, არც „ახალი მემარჯვენეები“ და ა.შ.

გულწრფელად რომ გითხრათ, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერაც არ მაქვს მიღებული. თუ დავინახავ, რომ ის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც მე ჩემს საქმიანობას დავუკავშირებ, იქნება მხარდამჭერი და მისთვის პრინციპული და პრიორიტეტული იქნება ის პრობლემები, რომელთაც იქ წამოვწევ, მაშინ ამ მიმართულებით გავააქტიურებ ჩემს საქმიანობას და, თუ შევატყობ, რომ ეს არის უბრალოდ „შრომითი მოწყობის“ მცდელობა და სპექტაკლი, მაშინ ჩემი ამ სურვილის ხორცშესხმაზე უარს ვიტყვი.

სპექტაკლში მონაწილეობის სურვილი თუ გამიჩნდება, ამისთვის არსებობს სატელევიზიო შოუპროგრამები, რომლებშიც მონაწილეობაზეც, მოგეხსენებათ, უარს არ ვამბობ ხოლმე. ამისთვის არ არის საჭირო „ქვეყნის პატრონობანას“ თამაში. ქვეყნის პატრონი (ნეტავ დღეს ცოცხალი გვყავდესძ, უნდა იყოს — ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამბობდა — „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“-ო... დანარჩენი მერე ვთქვათ. გმადლობთ!

**ნინო მამუკაძე,**
Presage.tv

**დედაქალაქი**

# ტბაზე, რომელიც ასე ახლოა

## როგორი იქნება „ქალაქი ქალაქში“?

**„მოძრავი მოძრავში“ — ჟიულ ვერნის დაუვიწყარი გმირის, იდუმალი კაპიტან ნემოს ასევე საიდუმლოს შარავანდედით მოცული წყალქვეშა ხომალდის „ნაუტილუსის“ ეს დევიზი, რომელმაც ბავშვობასა თუ სიყმაწვილეში წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენს გულებში, ვფიქრობ, ზუსტად ასახავს ცვლილებათა იმ პროცესს, რომელიც დღესდღეობით თბილისში მიმდინარეობს.**

**მოძრაობა, უწინარესად, სიცოცხლის, წინსვლის, განვითარების ნიშანია, და, ცხადია, სწორი გეზის არჩევის, უკეთესი მომავლის საწინდარიც. სწორედ ასეთ მოძრაობაში ვხედავთ ყველანი ამჟამად ჩვენს დედაქალაქს, რომელიც ბოლო დროს გამუდმებით შენდება, დღითი დღე კოპწიავდება.**

**ხშირად მიფიქრია — იმქვეყნად წასულ ჩვენს ძვირფას ადამიანებს დღევანდელი თბილისისთვის თვალი რომ შეავლებინა, იცნობდნენ კი თუნდაც თავიანთ უბნებს, საყვარელ ადგილებს, ქუჩებს თუ მოედნებს? დარწმუნებული ვარ, გაოცებულნი დარჩებოდნენ...**

**ისე, კაცმა რომ თქვას, ბევრი რამ, რაც ბოლო დროს თბილისში აშენდა და გაკეთდა, იქნებ ერთნაირად მოსაწონი და მისაღები არც იყოს, მაგრამ ამაზე კამათს ბოლოს დრო მოუღებს, მაინც ყველაფერს „თავის ქკუაზე“ დაალაგებს და დამსახურებულ ადგილსაც მიუჩენს. არადა, შენდება და იერს იცვლის არა მარტო ძველი თბილისი, რომელიც, მასშტაბური არქიტექტურული პროექტის ხატოვანი სახელწოდებისა არ იყოს, თითქოს მართლაც „ახალ სიცოცხლეს“ იწყებს, არამედ გარეუბნებიც და შემოგარენიც, რაც კიდევ უფრო მეტად მიმზიდველს გახდის მომავალში ჩვენს საერთო სახლს.**

დიდი ქალაქებისთვის დამახასიათებელია დროდადრო ადმინისტრაციული საზღვრების გაფართოება, ასე ვთქვათ, სიმაღლესთან და სიღრმესთან ერთად სიგანეშიც გაზრდა. ამის კარგი მაგალითია მოსკოვი, რომელიც, არსებული პროექტის თანახმად, ახლო მომავალში, ალბათ, ლამის მთელ ყოფილ მოსკოვის ოლქს (ეგრეთ წოდებულ პოდმოსკოვიესძ მოიცავს! ამ გზით ვითარდება თბილისიც, რომელმაც არცთუ დიდი ხნის წინათ ადმინისტრაციული საზღვრები საგრძნობლად გაიფართოვა. სხვა საკითხია, თუ რამდენადაა საჭირო და მიზანშეწონილი ჩვენისთანა პატარა ქვეყანაში ამოდენა „თავკომბალა“ მეგაპოლისის შექმნა, მაგრამ ეს რამდენიმე ათწლეულის წინათ დაწყებული პროცესი ამჟამადაც ინტენსიურად მიმდინარეობს და, როგორც ჩანს, შეუქცევად სახეს იღებს. ბოლო დროს კი თბილისის, ასე ვთქვათ, „განივი განვითარების“ ვექტორი ორი სხვადასხვა მიმართულებით მიიმართა. ორივე მათგანი მნიშვნელოვან წყლის აუზთანაა დაკავშირებული: პირველი ჩრდილოეთით, თბილისის ზღვისკენაა მიმართული, საითაც, არსებული გეგმის თანახმად, თითქოს ზოოპარკმაც უნდა გადაინაცვლოს, რკინიგზის ახალმა ლიანდაგებმაც უნდა გაიაროს და, ზოგადად, ამასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურაც მოეწყოს. მეორე მნიშვნელოვანი უბანი კი სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ლისის ტბაა, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზე ახლა მეტად მასშტაბური სამშენებლო-ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაიწყო.



ლისის ტბის მიდამოებში, სადაც შესანიშნავი მიკროკლიმატი და ეკოლოგიურად უაღრესად მიმზიდველი ზონაა, საქართველოში ყველაზე დიდი სამშენებლო პროექტი ხორციელდება, რის შედეგად იქ, ძველი თბილისის ცენტრიდან არცთუ შორს, ყველასგან განსხვავებული უზარმაზარი — 355 ჰექტარ ფართზე! — საცხოვრებელი და გამაჯანსაღებელი კომპლექსი გაშენდება.

საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიის (Georgian Reconstruction and Development Company — GRDCძ შვილეულმა კომპანია „ლისი დეველოპმენტმა“ (Lisi Developmentძ ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე „ლისის მწვანე ქალაქის“ მშენებლობა დაიწყო, რომელიც დაახლოებით ათ წელიწადში საცხოვრებელი და გამაჯანსაღებელი კომპლექსის ჩამოყალიბებულ იერს მიიღებს. პროექტის განხორციელებაში ასევე მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან არსებული კერძო უცხოური ინვესტიციების კომპანია (OPICძ, რომლის მიზანია ახალ და განვითარებად ბაზრებში დასამკვიდრებლად ამერიკული ბიზნესისთვის ხელშეწყობა კრედიტებითა და საგარანტიო ხელშეწყობით, ასევე ჰოლანდიური განვითარების ფონდი (FMCძ. ოთხი წლის წინათ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია სახელმწიფო ქონების საპრივატიზაციო აუქციონზე 182 მილიონ დოლარად გაიყიდა და მისი მფლობელები ქართველ და უცხოელ ბიზნესმენთა ჯგუფის დაფუძნებული GRDC და მასთან ერთად თიბისი ბანკი გახდნენ.

საინვესტიციო კომპანიის მიერ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის გაშენების ათწლიანი სტრატეგიული გეგმის თანახმად, აქ აიგება ერთგვარი ეკოლოგიური „ქალაქი ქალაქში“, რომლის დაგეგმარებაში მონაწილეობა მრავალმა ქართველმა და უცხოელმა არქიტექტორმა, ლანდშაფტებისა და კურორტების კეთილმოწყობის ექსპერტმა მიიღო მონაწილეობა. ტბის დასუფთავებისა და დასვენების ზონის მოწყობის შემდეგ, რაც პლაჟის, სპორტული მოედნების, გოლფის მინდვრის, საცხენოსნო კომპლექსის, ღია და დახურული აუზებიანი გამაჯანსაღებელი კომპლექსებისა და კაფე-რესტორნების აშენებას გულისხმობს, მომდევნო ეტაპით ტურისტული კომპლექსისა და ელიტური SPA-სასტუმროს აგებაა გათვალისწინებული, სადაც მთავარი კომპონენტი სამკურნალო წყაროები (Sanus per aquaძ იქნება. აქ ასევე საერთაშორისო დონის მსხვილი სასტუმრო კომპლექსიც მოეწყობა, მომავალში კი აქაურობას მარშალ გელოვანის პროსპექტთან ახალი ხიდი დააკავშირებს. გამორიცხული არც ახალი საბაგირო გზის გაყვანაა. პირველ ეტაპად განსაზღვრულია დაბა ვაშლიჯვრის მიმდებარე 40-ჰექტრიანი ტერიტორიის ათვისება, რაშიც 100 მილიონი დოლარის ინვესტირება განხორციელდა. ამჟამად ლისის ტბაზე გივი ზალდასტანიშვილის სახელობის აკადემიის მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც მომავალი სასწავლო წლის დაწყებისთვის დასრულდება. ნაგებობა ე.წ. „მწვანე კონცეფციით“ შენდება: მასში ენერგიის ეკონომიის თანამედროვე მეთოდებს — ბუნებრივ განათებას, გეოთერმულ გათბობას, ენერგიის დამზოგავ სისტემებსა და მასალებს გამოიყენებენ.

ცალკე აღსანიშნავია,რომ მომავლის „ლისის მწვანე ქალაქისნაირი“ ადგილები დიდი ხანია მეტად პოპულარულია იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, სადაც ტბებზე კერძო ვილების მფლობელობა მეტად პრესტიჟულადაა მიჩნეული. ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის ახლებურად მოწყობის პირველი ფაზაც ხუთი ფეშენებლური ვილისა და 16 თაუნ-ჰაუსის მშენებლობას ითვალისწინებს (თაუნჰაუსი — ესაა დაბალსართულიანი, არაუმეტეს ოთხისა, ერთმანეთთან გვერდითი კედლებით დაკავშირებული, ცალკე შესასვლელიანი და პატარა წინა ბაღიანი სახლების კომპლექსიძ.

**მოკლედ, როგორც ამ მცირედი მიმოხილვით შეგიძლიათ იმსჯელოთ, პატივცემულო მკითხველო, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის განვითარების სამომავლო პერსპექტივის, ეკოლოგიური და ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით, თბილისის ამ რაიონს არაჩვეულებრივად კარგი მომავალი შეიძლება ვუწინასწარმეტყველოთ და, ამასთან ერთად, თბილისელებს ისიც ვუსურვოთ, რომ იმ დროისთვის ყოველ მათგანს აქ ცხოვრების თუ არა, დასვენებისა და გართობის საშუალება მაინც ჰქონდეს.**

**ოთარ ტურაბელიძე**

**ინფორმაცია თემაში**

**800 მეტრის სიგრძის და 550 მეტრის სიგანის ლისის ბაქტერიოლოგიურად სუფთა ტბა ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. წლიურად აქ საშუალოდ 400 მმ ნალექი მოდის, წლის განმავლობაში წვიმიან დღეთა რაოდენობა ოცდაათს არ სცილდება. ტბის დაბალმთიან ზონაში ტემპერატურა თბილისის საშუალო ტემპერატურისგან 4–5 გრადუსით განსხვავდება, მიმდებარე ტერიტორიაზე ამოდის გოგირდწყალბადიანი თერმული წყლები, რომელთა ბუნებრივი ტემპერატურა ცელსიუსის 50–60 გრადუსია. აქ არის მეორე ე.წ. „მშრალი ტბაც“, რომლის ტალახის გამოყენება, სათანადო დამუშავების შემდეგ, სამკურნალო მიზნებით შეიძლება. ეს მიდამო ბალნეო-კლიმატო-პელოიდურ კურორტადაა აღიარებული. აქ რამდენიმე ტყეპარკი მოეწყობა და, შესაძლოა, ბოტანიკური ბაღიც კი გაშენდეს.**

ვულოცავთ ნანი ბრეგვაძეს

# ორი შეყვარებული მამაკაცი,

## რომელთა გრძნობას მილიონობით ადამიანი იზიარებს



**ვიჯეძი ჩემთვის, 21 ივლისი მოდიოდა — ნანი ბრეგვაძის დაბადების დღე, და მინდოდა ერთხელ კიდევ (უკვე მერამდენედ) ჩემი გულისთქმა გამემხილა საყვარელი მომღერლისადმი.**

ჰოდა, ბიჭოს, თენგიზ უთმელიძე არ შემოიმართა ოთახში? თენგიზი — ჩვენი მეგობარი და კოლეგა, „სუხიშვილების“ ანსამბლის ლეგენდარული მოცეკვავე, ამ ანსამბლის მემატიანე, რომელმაც უზადოდ აღბეჭდა ფირზე ჩვენი მოცეკვავეების გასტროლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და თაობებს შემოუნახა უნიკალური ფოტომასალა... მოვიკითხეთ ერთმანეთი. რამ შეგაწუხა-მეთქი. არ გაგიკვირდეს, ნანი ბრეგვაძეს ლექსი მივუძღვენი, დაბადების დღეს ვულოცავ, აგერ, ნახეთ, თუ მოგეწონებათო...

თენგიზმა ლექსს ფოტოც მოაყოლა, 2010 წლის 24 მაისს კომპოზიტორ მარიკა კვალიაშვილის „ვარსკვლავის“ გახსნაზე ჩვენმა დემიკო ლოლაძემ გადაგვიღო მე და ნანისო.

— საკვირველია, ამწუთას მეც სწორედ ნანიზე ვფიქრობდი, მასზე წერილს ვწერდი, — ვეუბნები თენგიზს.

— რას იზამ, ასეც ხდება...

ვკითხულობ თენგიზის ლექსს:

**დგახარ დედოფლურ ქალის იერით,**
**ირიბად აჭრილ თვალთაგან მზერით,**
**ვერ გამიგია, ხარ ღვთიური თუ მიწიერი,**
**და უმოწყალოდ „გულს რად მიკლავ“**
**შენი სიმღერით.**

**წყაროს ჩუხჩუხზე უტკბესია სიმღერა შენი,**
**საიდან მოგდგამს ეგ სინაზე და შემართება?**
**სცენის დედოფალს ყველაფერი რარიგად გშვენის,**
**გულო ჩემო და ჩემო „სულო, რა გემართება“.**

**სიმღერა ყველა — ჯადოქრული, გულში ჩამწვდომი,**
**შენგან უხვად და სიყვარულით არს ნაჩუქარი,**
**ქვეყნიერებას მოვლენილი ასე მგონია,**
**ღმერთის განგებით ნაბოძები ხარ საჩუქარი...**

— რა გინდა... ჩემი აზრით, შესანიშნავია!.. ნანი — სამაგალითო ქართველი ქალი, მართლაც სცენის დედოფალი და მთელი ეპოქის შემქმნელია არა მარტო ქართულ ესტრადაზე...

— მე მისი უამრავი ტრიუმფის მომსწრე ვარ, — ამბობს თენგიზი, — ხშირად ერთად გამოვსულვართ სხვადასხვა კონცერტზე და ისიც იზიარებდა ჩვენი ანსამბლის ტრიუმფს... ნანი განუმეორებელია...

— რა თქმა უნდა, ნანი განუმეორებელია... ეს ჯერ კიდევ 1984 წელს დავწერე გაზეთ „კომუნისტში“, ჩემო თენგიზ, წერილი კი ასე დავამთავრე:

**„ცოლმაც იცის, ამ ქვეყნად ერთი ქალის ტრფიალი ვარ, იცის, ელეთმელეთი რომ მომდის მისი ხმის გაგონებაზე, მაგრამ რა უნდა მითხრას, როცა თვითონაც ჩუმად იმშრალებს ხოლმე თვალზე მომდგარ ცრემლს, როცა ნანი მღერის“...**

— აი, ხომ ხედავ, მეც რა შეყვარებული ვარ... თუმცა, რა გასაკვირია, ნანი ქვეყანას უყვარს...

**ენაცვალოს საქალეთი,**
**ენაცვალოს საკაცეთი,**
**რომ ვკვდებოდე, მის კონცერტზე**
**წამიყვანეთ საკაცეთი!..**

ესეც ექსპრომტი ჩვენს ძვირფას ნანის! თანაც ალიტერაციაა!!!

— აპაპაპა... ჩემი უკეთესია!... — იცინის თენგიზი.

— არ გედავები! მთავარია, რომ ორივენი ნანის ტრფიალნი ვართ!

— მაშ!..

და მე და თენგიზ უთმელიძე ხალისიანად ვემშვიდობებით ერთმანეთს.

**ვილენ მარდალეიშვილი.**

**სურათზე: ლეგენდარული ნანი ბრეგვაძე და ლეგენდარული თენგიზ უთმელიძე.**

**დემიკო ლოლაძის ფოტო.**

ინფორმაცია

## აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე შეიცვალა



**აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილედ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ერიკ რუბინი დაინიშნა. ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება. მან ამ თანამდებობაზე თინა ქეიდენაუ შეცვალა.**

**რუბინის კავკასიის ქვეყნებთან, საბერძნეთთან, თურქეთთან და კვიპროსთან დაკავშირებულ საკითხებზეა პასუხისმგებელი.**

**მან კარიერა 1985 წელს გაზეთში სტაჟიორობით დაიწყო და წლების განმავლობაში სახელმწიფო დეპარტამენტში და აშშ-ს დიპლომატიურ მისიებში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. ერიკ რუბინი ბოლო დრომდე მოსკოვში აშშ-ის ელჩის მოადგილე იყო.**

**რუბინმა ახალ რანგში 18 ივლისს აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში თავდაცვისა და უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.**

## ევროპა მსოფლიოში გავლენას კარგავს



**ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი აცხადებს, რომ ევროპა მსოფლიოში გავლენას კარგავს. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.**

**რასმუსენის თქმით, თუ ეს ტენდენცია არ დაიძლევა, მაშინ ევროპელების მიერ დაკარგულ პოზიციებს მალე შეავსებენ ის ქვეყნები, რომლებიც ახლა იკრებენ ძალას, მაგალითად ჩინეთი და ინდოეთი.**

**შეგახსნებთ, რომ ივნისში პენტაგონის ხელმძღვანელმა რობერტ გეიტსმა განაცხადა, რომ აშშ, რომელიც ნატოს 75 % აფინანსებს, საკუთარი ფინანსური პრობლემების პერიოდში სულ უფრო და უფრო უჭირს შეინარჩუნოს ალიანსის მხარდაჭერის ახლანდელი დონე.**

## თურქეთში ქართველი მეძავეები დააკავეს

**თურქეთში პროსტიტუციის ბრალდებით 6 ქართველი დააკავეს, — ინფორმაციას ამის შესახებ თურქული მედია ავრცელებს.**

**მათი ცნობით, საქართველოს მოქალაქეები იმ 23 უცხოელ ქალს შორის იყვნენ, რომლებიც ცოტა ხნის წინათ დააკავეს და რომლებიც, გამოძიების ინფორმაციით, ფორმალურად თურქეთში სამუშაოდ ან სასწავლებლად იყვნენ ჩასულები, რეალურად კი პროსტიტუციას ეწეოდნენ. დაკავებულთა შორის არიან რუსეთის, ბელორუსის, უკრაინის და მოლდოვას მოქალაქეებიც.**

ჯი-ეიჩ-ენი

# განცხადება

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად

**კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთონ:**

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) კადრების მიერ დამოწმებული შრომის წიგნაკის ქსეროასლი;

დ) დოქტორის, მაგისტრის სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ე) გამოქვეყნებულ შრომათა ნუსხა (დამოწმებული);

ვ) ხუთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც სრულად წარმოაჩენს ავტორის სამეცნიერო მიმართულებას;

თ) სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა (ჩამონათვალი);

ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, დანერგვის აქტების და სხვ. ჩამონათვალი.

**საკონკურსო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი და გამოქვეყნებული მეცნიერული შრომები წყალთა მეურნეობისა და ბუნებრივი სტიქიური მოვლენების პრობლემებზე;

გ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გამოცდილება არანაკლები 5 წლისა;

დ) ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება არანაკლები 5 წლისა;

ე) ინსტიტუტის პროფილით სამეცნიერო დარგების განვითარების პერსპექტიული გეგმა (სამოქმედო გეგმა).

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს 2011 წლის 22 ივლისიდან (10 საათიდან — 17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში (IV სართული, ოთახი №421). საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 22 აგვისტოს 17 საათი.

კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 24 აგვისტოს.

მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 60

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივანს შორენა კუპრეიშვილს

ტელ: 22-74-01 ფაქსი: 22-73-00

ელ. ფოსტა: gwmi1929@gmail.com

ინტერნეტ მისამართი: www.gwmi.ge

**დირექტორი გივი გავარდაშვილი,**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

ხელოვნება

# ორ ხალხს შორის მეგობრობის სიმბოლოც იყო...



**გულსატკენი ამბავი მოვიდა ერევნიდან — 93 წლისა გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ფიზიკოსი, ექსპერიმენტული ფიზიკის გამოჩენილი სპეციალისტი, სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი თინა ლევანის ასული ასათიანი.**

მაღალი ენერგიების ფიზიკა, კოსმოსური სხივების ფიზიკა, ელემენტარულ ნაწილაკთა კვლევა ამაჩქარებელ „არუსზე“, მაღალი ენერგიების ფიზიკის ექსპერიმენტული ხელსაწყოები — აი ის სფეროები, რომლებშიც ათეულობით წლის სიგრძეზე ასე ნაყოფიერად მუშაობდა „გასომხებული“ ქართველი ფიზიკოსი ქალი და 150-ზე მეტი ნაშრომის ავტორი.

თბილისში დაბადებულმა ქალბატონმა თინამ 1940 წელს აქვე დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტი და ასპირანტურაშიც შევიდა, საიდანაც მალე ლენინგრადის ფიზიკის ინსტიტუტში გადაიყვანეს. რუსეთში ის თანამშრომლობდა ეპოქის ისეთ სახელგანთქმულ ფიზიკოსებთან, როგორნიც ლევ ლანდაუ, იგორ კურჩატოვი, პეტრე კაპიცა, ძმები ალიხანიანები (აბრამი და არტემი) იყვნენ.

სწორედ არტემ ალიხანიანის მიწვევით გადავიდა 1943 წელს სომხეთში თინა ასათიანი და მისივე ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობდა არაგაცის სადგურზე კოსმოსური სხივების კვლევაში. სომხეთში შექმნა ქალბატონმა თინამ შესანიშნავი ოჯახი სომეხ კოლეგასთან პროფესორ დადაიანთან, რომელიც შემდგომ ასევე თვალსაჩინო მეცნიერი გახდა.

სხვადასხვა დროს თინა ასათიანი გახლდათ ერევნის ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, ინსტიტუტის კონსულტანტი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჯორჯ სოროსის ფონდის საპატიო პროფესორი; 1996 წლიდან მან სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის რიგებიც დაამშვენა.

ქალბატონი თინას ერთობ წარმატებული კვლევითი მუშაობა 1970 წელს აღინიშნა ლენინური პრემიის მინიჭებით (სხვა შემთხვევაშიც, გვითქვამს — როგორიც არ უნდა იყოს ამ სახელისადმი ახლანდელი დამოკიდებულება, საბჭოურ ხანაში ლენინური პრემია მეცნიერისათვის უმაღლეს ჯილდოდ ითვლებოდა), ხოლო 1980 წელს — სომხეთის მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდებისა.

რამდენიმე წლის წინათ ერევანში საზეიმოდ აღინიშნა გამოჩენილი ფიზიკოსის, აკადემიკოს თინა ასათიანის 90 წლის იუბილე. მიმსალმებელთა შორის იყო სომხეთში ჩვენი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რევაზ გაჩეჩილაძე, რომელმაც საგანგებოდ აღნიშნა იუბილარის განსაკუთრებული როლი სომეხი და ქართველი ხალხების დაახლოებაში. აქვე სათქმელად, ქალბატონი თინა გახლდათ სომხეთში ქართველთა სათვისტომო „ივერიის“ დამფუძნებელი და ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქე.

ნათელში გვიმყოფოს სომხურ მიწას მიბარებული დიდებული ქართველი ქალბატონის სული...

**თამაზ ებანოიძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სამთა გული

**კვირას აფხაზეთში დამთავრდა პრეზიდენტობის კანდიდატების დასახელება. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სამი საინიციატივო ჯგუფი გაატარა რეგისტრაციაში, რომლებმაც რესპუბლიკის ხელმძღვანელის პოსტზე წამოაყენეს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ალექსანდრ ანქვაბის, პრემიერ-მინისტრ სერგეი შამბას და ოპოზიციური პარტიის „აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმის" თავმჯდომარის რაულ ხაჯიმბას კანდიდატურები.**

ცენტრალური საარჩევნო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ მიიღებს 10 დღის განმავლობაში: პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატებმა ასევე უნდა ჩააბარონ გამოცდები აფხაზური ენის ცოდნაზე.

საკითხი კი, თუ ვინ უნდა იყოს პრეზიდენტი, რასაკვირველია, თავად აფხაზებმა უნდა გადაწყვიტონ. მაგრამ არ იქნებოდა ურიგო, მოსკოვსაც განესაზღვრა თავისი უპირატესობანი, ვინაიდან მის აზრს ჯერ კიდევ აქვს დიდი მნიშვნელობა აფხაზი ელექტორატის ნაწილისთვის.

რაულ ხაჯიმბა, მოსკოვის ფავორიტი წინა არჩევნებში, ამჟამად ოპოზიციას უდგას სათავეში. 2004 წელს ის აღიქმებოდა, როგორც არადამოუკიდებელი ფიგურა, რომელიც მძიმედ დაავადებული არძინბას გარემოცვით მის მემკვიდრედ იქნა დასახელებული. კრემლმა მასზე ფსონი დადო სწორედ იმიტომ, რომ ის განასახიერებდა კურსის მემკვიდრეობითობას. ეს მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთან ელვის სისწრაფით მიმდინარე დაძაბული ურთიერთობის გათვალისწინებით. უკანასკნელი წლების განმავლობაში ხაჯიმბამ შეიძინა საჯარო პოლიტიკის გამოცდილება. აფხაზებისთვის მნიშვნელობა აქვს, რომ სწორედ მისთვის უნდოდა გადაეცა ხელისუფლება აფხაზეთის პირველ პრეზიდენტს. ხაჯიმბას სიახლოვეზე აფხაზეთის ლეგენდარულ ლიდერთან მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მასთან წყვილში ვიცე-პრეზიდენტის სახით კენჭს იყრის ვლადისლავ არძინბას ქვრივი სვეტლანა ჯერგენია. ხაჯიმბამ შეიძლება მიიღოს იმათი ხმები, ვინც უკმაყოფილოა დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკით. მოსკოვს ის ურჩევნია: ხაჯიმბა მსახურობდა უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში, და რამდენადაც ამ სტრუქტურაში ყოფილები არ არსებობენ, ის შეიძლება დღემდე მიიჩნევს, რომ მისი ხელმძღვანელობა იმყოფება ლუბიანკაზე. ამას გარდა, არის იმედი, რომ საბჭოთა სპეცსამსახურების ყოფილი ოფიცერი ბოლოს და ბოლოს რესპუბლიკაში ბოლოს მოუღებს კრიმინალსა და კორუფციას.

სწორედ ასეთი იმედი ჰქონდა 2004 წელს აფხაზეთის საზოგადოებას ალექსანდრ ანქვაბისა – წარსულში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი რანგის თანამშრომლისა და 1992-1993 წლებში აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრისა. ხელისუფლებაში მოსვლამდე ანქვაბს ჰქონდა „პატიოსანი მილიციონერის", „კორუფციასთან მკაცრი მებრძოლის" იმიჯი. მაგრამ აფხაზეთის მცხოვრებლები ამტკიცებენ, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში რესპუბლიკაში კრიმინალური მდგომარეობა მხოლოდ გაუარესდა. ანქვაბის ძალა – ადმინისტრაციულ რესურსშია, იგი ამჟამად პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელია. მაგრამ მოსკოვში მას ეჭვით უყურებენ, და იგი მიჩნეულია ბნელ პიროვნებად. ანქვაბი იყო აფხაზეთში პირველი ოპოზიციური მოძრაობის „აიტაირას" შემქმნელი და 2004 წელს „ხავერდოვანი გადატრიალების" ავტორი, რის შედეგადაც ხელისუფლებაში ბაღაფშმა მოვიდა. პრეზიდენტის პოსტისთვის ის მკაცრად იბრძოლებს: ის ამისკენ მოდიოდა ნელა და ფრთხილად 1993 წლიდან, იმ მომენტიდან, რაც არძინბამ იგი შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან გაათავისუფლა – აფხაზების გამარჯვებიდან ერთი კვირის შემდეგ.







ამჟამინდელ პრემიერს სერგეი შამბას, ჩვენი აზრით, ყველაზე უკეთესი შანსი აქვს. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მას ეკავა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი, შეიძინა დიპლომატისთვის აუცილებელი მოქნილობა და უნარი შეთანხმებისა. მას კარგი კავშირურთიერთობანი აქვს მოსკოვში. მას დიდი ხანია იცნობენ საგარეო საქმეთა სამინისტროშიც, პრეზიდენტის ადმინისტრაციაშიც. ამავე დროს მას კარგი კავშირები აქვს დასავლეთთანაც. ერთ-ერთი ვერსიით, პრეზიდენტად ბაღაფშის არჩევის შემდეგ შამბა დატოვეს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე დასავლელი დიპლომატების თხოვნით, რომლებიც მიჩვეული იყვნენ ეწარმოებინათ მასთან მოლაპარაკება. აფხაზეთს სჭირდება ცივილიზებული, ევროპული სახე – და ამ როლისთვის შესანიშნავად გამოდგება ინტელიგენტი შამბა. ის, სხვათა შორის, არძინბას ნათესავია, ამიტომ მისაღებია პირველი პრეზიდენტის გარემოცვისთვისაც.

მაგრამ, ვინც უნდა იყოს აფხაზეთის ახალი ლიდერი, ცხადია, რომ უახლოეს პერიოდში ჩვენი ქვეყნისადმი არამეგობრულად დამოკიდებული სტრუქტურების ძალისხმევა, რაც მიზნად ისახავს აფხაზური ნაციონალიზმის გაჩაღებას და მოსკოვსა და სოხუმს შორის შუღლის ჩამოგდებას, გაგრძელდება. ამისთვის უნდა ვემზადებოდეთ.

Московский Комсомолец

# საქართველოს გაზეთები ფოტოჟურნალისტების დაპატიმრების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ფოტოგრაფიების გარეშე გამოდიან

**საქართველოს რამდენიმე დიდმა გაზეთმა და ელექტრონულმა გამოცემამ გამოაქვეყნა თავისი გვერდები ფოტოგრაფიების გარეშე სამი დაკავებული ფოტოგრაფის დაპატიმრების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომლებსაც ბრალი ედებათ ჯაშუშობაში რუსეთის სასარგებლოდ.**

გიორგი აბდალაძე, რომელიც მუშაობდა ასოშიეიტედ პრესის სააგენტოში, ზურაბ ქურციკიძე ევროპის სპეცფოტოს სააგენტოდან და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პირადი ფოტოგრაფი ირაკლი გედენიძე დააპატიმრეს 7 ივლისს განთიადისას.

სამივეს ბრალი ედებათ ჯაშუშობაში და, როგორც იტყობინებიან, მათ უკვე მისცეს აღიარებითი ჩვენებანი, რომ იღებდნენ საიდუმლო დოკუმენტების ფოტოებს, მათ შორის, სააკაშვილის დღის წესრიგის დეტალებს და ჰყიდდნენ მათ რუსეთის დაზვერვას. მათ ემუქრებათ თავისუფლების აღკვეთა 12 წლამდე. სასამართლო პროცესი უნდა დაიწყოს 1 სექტემბერს.

ოპოზიციური პოლიტიკოსები, პრესა და დაპატიმრებულთა ადვოკატები დარწმუნებული არიან, რომ ისინი აიძულეს მიეცათ აღიარებითი ჩვენებანი დანაშაულებში, რომლებიც მათ არ ჩაუდენიათ. 40-ზე მეტი პუბლიკაცია, მათ შორის გაზეთი „რეზონანსი" და სააგენტო „ინტერპრეს ნიუსი", ხელს აწერენ ღია წერილს, რომელშიც სვამენ შეკითხვებს დაპატიმრების შესახებ, ბევრმა კი ფოტოგრაფიების ნაცვლად გამოაქვეყნა ცარიელი გვერდები სიტყვით „პროტესტი". „მომხდარს ჩვენ ვაფასებთ, როგორც შურისძიებას და დევნას სიმართლისთვის", – განაცხადეს მათ და დაუმატეს, რომ „იძულებით მიღებული ჩვენებანი, საეჭვო ვითარებაში, არ გვარწმუნებს იმაში, რომ ფოტორეპორტიორები ჯაშუშები არიან".

დაპატიმრების შემდეგ აბდალაძემ მალე გადასცა გაზეთს მიმართვა, რომელშიც უარყოფს ბრალდებას და დარწმუნებულია, რომ იგი და მისი კოლეგები დააპატიმრეს სააკაშვილის ბრძანებით იმის გამო, რომ ისინი იღებდნენ 26 მაისს ოპოზიციის დარბევის სისხლიან შედეგებს.

„ჩვენმა ფოტოგრაფიებმა მთელი მსოფლიო და ბევრი ქვეყნის პრესა შემოიარეს, სადაც სააკაშვილი ამაყად პოზირებს, როგორც დემოკრატიის ჩემპიონი", – დაწერა აბდალაძემ. „მან არ გვაპატია ის ფაქტი, რომ ჩვენ გავუფუჭეთ მას იმიჯი".

მაგრამ შაბათს აბდალაძემ გააოცა თავისი ადვოკატები, როდესაც მისცა აღიარებითი ჩვენება. „ეს მეტად უცნაურია", – განაცხადა მისმა ადვოკატმა ეკა ბესელიამ. „ის ასე იყო დარწმუნებული საკუთარ უდანაშაულობაში და უცებ ლაპარაკობს, რომ დამნაშავეა, თუმცა ჩვენებანი მეტად დაბინდულია".

ბესელიამ თავისი კლიენტი ნახა ორშაბათს და განაცხადა, რომ შეშფოთებულია მისი გარეგნული იერით. „ის გამოიყურება მეტად შეშინებულად, ამბობს, რომ არ შეუძლია მასთან ლაპარაკი მომხდარის შესახებ, ვინაიდან იგი ამის შესახებ გააფრთხილეს, – განაცხადა ბესელიამ. – დარწმუნებული ვარ, რომ აღიარებითი ჩვენებანი მიიღეს ძლიერი ფსიქოლოგიური ზემოქმედების დახმარებით". გაზეთ „ჯორჯიან მესინჯერის" მთავარმა რედაქტორმა ზაზა გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ საქმის დეტალები ჯერჯერობით გაურკვეველია. „მარტო აღიარებანი საკმარისი არ არის, – მიაჩნია მას. – ჩვენ ახლა გვჭირდება დადასტურებანი".

Guardian

# თბილისმა დაპატიმრებული ფოტოგრაფის აღიარება გამოაქვეყნა

**თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, აბდალაძე ორ სხვა დაკავებულ ჟურნალისტთან ერთად გამოძიების დროს პატიმრობაში დატოვეს.**

ყველა მათგანს, გარდა ნათია გედენიძისა, სასამართლომ გამოუტანა წინასწარი პატიმრობა აღმკვეთი ღონისძიების სახით.

როგორც საქართველოს პროკურატურამ განაცხადა, შაბათს აბდალაძე საკუთარი ადვოკატების თანდასწრებით დაკითხეს. პროკურატურამ აგრეთვე გვაცნობა, რომ 14 ივლისს ჩვენება მისცა აგრეთვე ზურაბ ქურციკიძემაც ადვოკატების თანდასწრებით.

თითქმის ერთი კვირით ადრე მანამდე, 9 ივლისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ირაკლი გედენიძის ჩვენებანი, სადაც ის საუბრობს იმის შესახებ, რომ ქურციკიძემ მისგან მოითხოვა ინფორმაცია, „რომელიც არ არის დაკავშირებული მის პროფესიულ საქმიანობასთან", რის შემდეგაც გედენიძე „მიხვდა", რომ საკითხი შეეხება მუშაობას სპეცსამსახურებისთვის.

პროკურატურის თანახმად, გადაწყვეტილება – გამოაქვეყნონ აბდალაძის აღიარებითი ჩვენებანი – მიღებული იქნა დიდი ინტერესის გამო ფოტოგრაფების საქმისადმი საზოგადოების მხრიდან.

ვიდეოჩანაწერზე, რომელიც პროკურატურამ გაავრცელა, აბდალაძე ამბობს, რომ იგი აიძულეს წასულიყო სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზე 2002 წელს მას შემდეგ, რაც იგი დააკავეს თვითგამოცხადებული სამხრეთი ოსეთის ტერიტორიაზე.

მისი სიტყვებით, იგი მძღოლთან ერთად დააკავეს საზღვრისპირა სოფელ ერგნეთში, რის შემდეგაც წაიყვანეს ცხინვალში, სადაც რამდენიმე კაცი სცემდა მას დაახლოებით დღენახევრის განმავლობაში.

აბდალაძემ თქვა, რომ ის აიძულეს ხელი მოეწერა აღიარებაზე იმის შესახებ, თითქოსდა იგი ამზადებდა დივერსიულ აქტებს ცხინვალის ტერიტორიაზე, რის შემდეგაც გადაიყვანეს მეორე შენობაში, სადაც მას შეხვდა ორი რუსი სამხედრო.

აბდალაძის სიტყვებით, ის დათანხმდა ეთანამშრომლა მათთან და ხელი მოაწერა კონტრაქტს. საქართველოს რამდენიმე გამოცემამ გამოაქვეყნა მიმართვა, რომელსაც ხელს აწერს 40-ზე მეტი ორგანიზაცია – მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ჟურნალისტთა გაერთიანებები.

საქართველოს ჟურნალისტები მიმართავენ ხელისუფლებას მოწოდებით, გაითვალისწინონ ჟურნალისტების წერილობითი შუამდგომლობა და გაათავისუფლონ ფოტორეპორტიორები თავდებით, აგრეთვე მასალები გახადონ საჯარო.

ორშაბათს ზოგიერთმა გამოცემამ და საინფორმაციო სააგენტომ გამოთქვა თავისი პროტესტი, გამოაქვეყნა ფოტოგრაფიების ნაცვლად წარწერა „პროტესტი".

მაგრამ მთავრობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ფოტოგრაფების საქმეს არაფერი აქვს საერთო ქვეყანაში პრესის თავისუფლების საკითხთან დაკავშირებით და რომ საქმეში არის ფოტოგრაფების დანაშაულების საკმაოდ ბევრი დადასტურება.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**ქურდებმა რკინიგზაზე დაყარეს 64 „საბრძოლო ძოხიხი", რომლებიც რუმინეთის ეშელონიდან მოიპარეს**

საბრძოლო მასალების ოთხი ყუთი აღმოაჩინეს სარკინიგზო სადგურ ჩიტილთან ბუქარესტის ჩრდილოეთით. ადრე ეს ყუთები დაიკარგა შემადგენლობიდან, რომელიც სამხედრო ქარხნიდან გამოვიდა. თავდაპირველად რუმინეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებდა, რომ მოპარულია 64 საბრძოლო ქუბინი, რომელიც ბულგარეთში იყო გაგზავნილი. შემდეგ გაირკვა, რომ მოპარული იყო მხოლოდ ძველი ამფეთქებლები სისტემა „გრადიდან".

* * *

**ჩინეთში დახვრიტეს ორი ვიცემერი: ერთი ქრთამებს ღებულობდა საყვარლებზე, მეორე – შვილზე**




ჩინოვნიკმა ქალაქ ხანჯოუდან სიუი მაიუმიმ 1995 წლიდან 2009 წლამდე მიიღო ქრთამი 24,8 მილიონი დოლარის ოდენობით, აგრეთვე მიითვისა სახელმწიფო ქონება. სუჯოუს ვიცემერმა ძიან ჟენძემ ქრთამით მოაგროვა 16,8 მილიონი დოლარი. მისი სახლიდან გამოიტანეს 23 კილოგრამი ნაღდი ფული.

* * *

**„ნასას" ზონდმა დედამიწაზე გამოაგზავნა ასტეროიდ ვესტის დაწვრილებითი აღწერილობა ახლო მანძილიდან**

ასტეროიდი „დაუნი" – არის პირველი ხელოვნური თანამგზავრი ასტეროიდებს შორის მთავარ სარტყელში მარსსა და იუპიტერს შორის. ასტრონომები მიიჩნევენ, რომ ბევრი მეტეორიტი, რომლებიც დედამიწაზეა აღმოჩენილი, არის ნამსხვრევი უცნობი ციური სხეულისა ვესტიდან. აგრეთვე ვარაუდობენ, რომ ასტეროიდზე ოდესღაც იყო წყალი. მისი გამოკვლევა საშუალებას მოგვცემს, შევკრიბოთ ინფორმაცია მზის სისტემის ყველაზე ადრეული ეტაპების შესახებ.



* * *

**ეგვიპტის პრემიერი მოხვდა საავადმყოფოში ახალი მთავრობის მიერ ფიცის მიღების წინა დღეს**

პრემიერის წარმომადგენელმა ჯერ განაცხადა, რომ ისამ შარაფი მოხვდა კაიროს ჰოსპიტალში გულის შეტევით. მაგრამ მოგვიანებით მთავრობის მეთაურის ადმინისტრაციამ მის ავადმყოფობას დასუსტება და გადაღლილობა უწოდა „ხანგრძლივი სამუშაო დღის შემდეგ". ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის გამოვა შარაფი საავადმყოფოდან.



## ◉ წარდგენილია საააკადემიო სახელობით პრემიაზე

**„შიდა ქართლის უძველესი წარსულიდან“, — ასე ჰქვია აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის 279-გვერდიან მონოგრაფიას, ივანე ჯავახიშვილის თსუ-სა და საქართველოს ერვნული მუზეუმის ეგიდით 2009 წელს თბილისის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულს, რომელიც გამოჩენილი ქართველი არქეოლოგის გიორგი ნიორაძის სახელობის წლევანდელ პრემიაზე წარადგინა აკადემიკოსმა დავით მუსხელიშვილმა.**

ნაშრომში განხილულია შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში მიმდინარე პროცესები ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში — როცა საკმაოდ ახლო ურთიერთობები ჩანს კავკასიონის ქედის იქითა მხარეებთან; ხდება მოსახლეობის ფრიად ინტენსიური დენა ჩრდილოეთიდან სამხრეთის და ჩრდილოელ მეზობელთა ჩამოსახლება შემდეგაც გაგრძელდა, რაც საბოლოოდ (და სამწუხაროდ!ძ ძვირად დაგვიჯდა და რის შედეგებსაც დღესაც ვიმკით. საერთოდ, ქართველი კაცის მიმტევებლური ხასიათი ისტორიის სიგრძეზე არაერთგზის გამხდარა სანანებელი...

სიტყვა წარმდგენს, აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს:

— აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე როგორც სამშობლოში, ისე რუსეთსა და ევროპაში აღიარებულია საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიურ მეტრად (მეტრი მოძღვარსაც ნიშნავსძ ქართულ თუ კავკასიურ არქეოლოგიას არ ჰყოლია ამგვარი დიაპაზონის მკვლევარი აკადემიკოს ბორის კუფტინის შემდეგ... ჩვენი ხალხის უძველესი ისტორიის ბევრი დიდმნიშვნელოვანი საკითხია კომპაქტურად თავმოყრილი იმის ბოლო მონოგრაფიაში, სადაც განზოგადებულია ავტორის მიერვე ჩატარებული ორი შიდაქართლური სოფლის, ნულისა და ქვასათალის სამაროვნების არქეოლოგიური გათხრების შედეგები; დადგენილია ამ სამაროვანთა თარიღი — ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის პირველი ნახევრის მიწურული; მოპოვებული მასალა შესწავლილია იმდროინდელი ქართლის ტერიტორიაზე გავრცელებული ეგრეთ წოდებული „თრიალეთური კულტურის“ თვალსაზრისით.

ოთარ ჯაფარიძის სამართლიანი ვარაუდით „თრიალეთური კულტურა“ ქართველთა წინაპარი ტომების კულტურაა, შუა ბრინჯაოს ხანაში მთელს აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული. ნულისა და ქვასათალის სამაროვნების მასალა (იარაღი, კერამიკაძ არსებითად ანალოგიურია „თრიალეთის კულტურისა“, თუმცა ამჟღავნებს გარკვეულ თავისებურებას, რომლითაც განსხვავდება „თრიალეთურისაგან“ და ენათესავება ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, დაღესტანში იმ პერიოდში გავრცელებულს. ეს იძლევა იმ მოსაზრების გამოთქმის საფუძველს, რომ სოფლების, ნულისა და ქვასათალის მაშინდელ მოსახლეობას შეადგენენ შიდა ქართლში ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიიდან რაღაც მიზეზით ჩამოსახლებული მიგრანტები, რომელნიც, იმათი მატერიალური კულტურის ანალიზის მიხედვით, დიდწილად უკვე ასიმილირებულნი არიან ქართველთაგან.

ამრიგად, კონკრეტულ არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით, ნაშრომში დასმული და გაშუქებულია ქართველთა ეთნოგენეზის ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა უძველეს პერიოდში კავკასიის ტომთაშორისი ურთიერთობებისა.

აი, ასეთ მაღალ შეფასებას აძლევს ბატონი დავითი მონოგრაფიას „შიდა ქართლის უძველესი წარსულიდან“, რეკომენდებულს საააკადემიო პრესტიჟულ ჯილდოზე.

...ძველ ამხანაგსა და „თანაფეხბურთელს“ (1960-იან წლებში ჩვენ ერთად ვთამაშობდით მშობლიური თბილისის უნივერსიტეტის მასწავლებელთა გუნდში, სადაც ოთარ ჯაფარიძე ჩინებული მეკარე გახლდათ, ისევე, როგორც „შემცვლელი“, პროფესორი ნოდარ ლომოური... შინ ვეწვიე და გულითად საუბარში ავიყოლიე.

**— ოთარ, შევთანხმდეთ, რომ „ძნელი ყოფილა თურმე სიბერე“ და „ყველა ჭირზე უარესიც“... ფიზიკურ კონდიციებზე როგორა ხარ?..**

— ნუ იტყვი... მხედველობას არ ვუჩივი; თუმცა ორივე თვალი ნაოპერაციევია — კატარაქტისა გავიკეთე — უსათვალოდ ვკითხულობ. აი, სმენა კი დამიქვეითდა. ფეხების ტკივილმა ხომ გამტანჯა, ჯოხით დავდივარ. აკადემიაში მაინც ვახერხებ ხანდახან მოსვლას, შენც ხომ მხედავ ხოლმე...

# არქეოლოგიის მეტრი

**— შენი სპორტული წარსულის გახსენება მინდა; მოდი, ვისარგებლოთ შემთხვევით და ჩვენი „დიდი“ გუნდიდან, უნივერსიტეტის მასწავლებელთა ფეხბურთის გუნდიდან, ცხოვრებიდან წასული პარტნიორები მოვიგონოთ — დაცვიდან გავყვები: კარლო ადეიშვილი, ნოდარ კაკაბაძე, კარლო მეშველიანი, ომარ ჭეიშვილი, ჯუმბერ ოდიშელი, ცაცო ბახტაძე, ზურაბ კაკაბაძე, ნიკო გიორგაძე, ნოდარ ქინქლაძე... სამნი-ღა დავრჩით... შენ ფრენბურთსაც კარგად თამაშობდი...**




— შენ თუ ფეხბურთელები ჩამოთვალე, მე ჩემს პარტნიორ ფრენბურთელებს გავიხსენებ: კოტე ბაქრაძე, დავით დოლიძე, ოთარ ჯინორია, ვენორ ქვაჩახია, ლევან ალექსიძე, სხვები კიდევ...

**— სპორტის „ტელევიზორული“ სიყვარული თუ შემოგრჩა?**

— ფეხბურთისა კი. დაძინება ადრე ვიცი, მაგრამ თუ საინტერესო მატჩია, რეჟიმს ვარღვევ და „ღამეს ვუთევ“... ახლა „ბარსელონას“ დიდი ქომაგი ვარ და იმისი ლიდერის მესისა.

**— შენთვის ძვირფასი მეცნიერების მიღმა, მახსოვს, მხატვრული ლიტერატურით როგორ იყავი გატაცებული; ჩვენი „საფეხბურთო“ შეკრებების დროს ხშირად გვისაუბრია ამ თემაზე, ახლა?..**

— ძველებურად ვარ გატაცებული და ღმერთს ვმადლობ, რომ ასეა. უწიგნოდ არ შემიძლია, სულ ვკითხულობ. დილით ადრე ვდგები, „ჩემს“ სფეროში რაღაცას წავიმუშავებ და მერე მხატვრულ წიგნებს მივაკითხავ. რუსულად ვკითხულობ; სირცხვილით როგორ ვთქვა, მაგრამ ქართულს თითქმის ვერა. ახლა ჯეკ ლონდონს „ვიმეორებ“. რუსი მწერლებიდან შოლოხოვია ჩემი კერპი, „წყნარი დონი“, მე თუ მკითხავ, ტოლსტოის „ომისა და მშვიდობის“ დონეზეა. გინდა „გატეხილი ყამირი“ აიღე, ან „დონის მოთხრობები“. უცხოელებიდან მარკესს ვაყენებ ძალიან მაღლა „ასი წლის მარტოობით“. მემუარებზე პირდაპირ ვგიჟდები, შესანიშნავ ადამიანთა ცოლების მემუარებზე, შვილებისა, ან თვითონ იმათ მემუარებზე...

**— ოთარ, შენს ოჯახზე გვიამბე, იმაზე, შვილებს რომ გენეტიკურად დააყოლე მეცნიერული ფხა...**

— ჩემმა განსვენებულმა მეუღლემ ასმათმა, კარგმა ლოგოპედმა-პედაგოგმა, სამი შვილი გამიზარდა — ვაჟი და ორი ქალიშვილი.

კახა ჯაფარიძე, მათემატიკოსი, ალბათობის თეორიის სპეციალისტი, საბჭოური ხანის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია; 1980 წელს წავიდა საზღვარგარეთ, ამსტერდამში ცხოვრობს ჰოლანდიელ ცოლთან და ორ ვაჟთან ერთად.

65 წლისას იუბილე გადაუხადეს და პენსიაზე გაუშვეს. პეტერბურგიდან ცნობილი მათემატიკოსი ილდარ იბრაგიმოვი ჩასულა იმ ზეიმზე, პარიზიდან წვევიან კოლეგები, თბილისიდან პროფესორი მიხეილ მანია ესტუმრა... ინგლისურად აქვს დასტამბული მონოგრაფიები ჰოლანდიაში. ბოლოს შარშან მომინახულა...

ერთი ქალიშვილი, ნანა ხელოვნებათმცოდნეა, აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი; გამოშვებული აქვს წიგნი „ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობა საქართველოში“; სიძე თამაზ აბაშიძე, კიტა აბაშიძის შვილიშვილია, აღმოსავლეთმცოდნეა; ერთი გოგონა ჰყავთ.

მეორე ქალიშვილი, თამარი ფილოსოფიის დოქტორია, ილიას უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ორი გოგონას დედა. ერთხანს შტატებში ცხოვრობდა, იქ მონოგრაფია აქვს გამოქვეყნებული ინგლისურ ენაზე, კანტის ფილოსოფიაში.

ერთიც შვილთაშვილი მყავს, 10 წლის ბიჭუნა. უკვე დიდი პაპა ვარ...

**...დიდი პაპა, აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე, 10 თუ 12 მონოგრაფია რომ „ცალკე“ აქვს დასტამბული და 20-მდე — თანამშრომლებთან ერთად 140-მდე მეცნიერული წერილის ავტორიც რომ არის, წელს 90-ისა ხდება.**

**ჯანმრთელობა უნდა ვუსურვო სახელგანსმენილ მკვლევარს ჩვენი საისტორიო მეცნიერების საკეთილდღეოდ, თუ, რასაკვირველია, „რეფორმირებულ“ საქართველოში საერთოდ შეგვრჩება მეცნიერება... ვფიქრობ, საიუბილეოდ თვითონვე მოიმზადებს კარგ საჩუქარს გიორგი ნიორაძის პრემიის სახით...**

**თამაზ ეზანოიძე**

## ◉ ინტეგრაცია

# ვის სურს ევრო?

### რატომ აჭიანურებენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები პროცესს?

**ევროს ზონაში შესვლის კანდიდატმა ბევრმა ქვეყანამ ფიქრი დაიწყო, საერთოდ ღირს თუ არა ერთიანი ევროპული ვალუტის გავრცელების არეალში შებიჯება. ისინი გვარიანად დააფრთხო ევროპელი მარეგულირებლების მიერ საბერძნეთისთვის თავსმოხვეულმა „ქამრის მოჭერის“ პროგრამამ, რასაც დიდი არეულობა მოჰყვა.**

საერთოდ, ბევრი ანალიტიკოსი თვლის, რომ საბერძნეთი რომ ევროს ზონის წევრი არ ყოფილიყო, კრიზისს თავიდან აიშორებდა. ევროს ზონაში შესვლის შემდეგ ქვეყნის მიერ აღებულმა კრედიტებმა და ვალდებულებებმა საბერძნეთის ეკონომიკა წელში გატეხა. ექსპერტთა აზრით, ბევრი პრობლემა იმიტომ წარმოიშვა, რომ ქვეყანა მზად არ იყო ძლიერი საერთოევროპული ვალუტისა და შიდა ვალებით დახუნძლული კაპიტალის მოდინებისთვის.

შედეგად, პრობლემა პრობლემას დაემატა და კრიზისად იქცა. საბერძნეთი რომ ევროს ზონაში არ შესულიყო, იგი იქნებოდა შედარებით ნაკლებად მდიდარი ევროპული ქვეყანა, მაგრამ ბევრად ბალანსირებული და მყარი ფინანსური სისტემა ექნებოდა. თანაც, ევროზონის სხვა ქვეყნების მხარდაჭერის იმედი რომ არ ჰქონოდათ, საბერძნეთს ამდენ კრედიტს არავინ მისცემდა.

საბერძნეთი კრიზისსაც უფრო იოლად გაუმკლავდებოდა, ევროს ზონაში რომ არ ყოფილიყო. ამ შემთხვევაში იგი დამოუკიდებელ ეკონომიკურ პოლიტიკას გაატარებდა, ბოლოს და ბოლოს საკუთარი ვალუტის დევალვაციას განახორციელებდა. ახლა კი ამის გაკეთება არ შეუძლია.

საბერძნეთის შემდეგ ეკონომიკური კოლაფსის პირასაა პორტუგალია. ქვეყანამ ასევე მიიღო დახმარება ევროკავშირისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან, თანაც, ერთი თვის წინათ ლისაბონს ახალი მთავრობა მოევლინა, რომელმაც ბიუჯეტის სტაბილიზაციისა და დანახარჯების შემცირების პოლიტიკის გატარება დაიწყო.

გარდა ამისა, ბევრი ანალიტიკოსი თვლის, რომ სულ მალე ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდება ირლანდია. ხოლო შორს არ არის ის დრო, როცა დახმარებას მოითხოვენ ესპანეთი და იტალია. სავარაუდოდ, ევროპელი მარეგულირებლები ამ ქვეყნებისგან მალე მოითხოვენ მკაცრი ფულად-საკრედიტო რეფორმების გატარებას, რომ საქმე კრიზისამდე არ მივიდეს.

ამ ეკონომიკური ვაკხანალიის შემხედვარე ბევრმა ქვეყანამ, რომელთათვისაც ევროს ზონაში შესვლა სანუკვარი ოცნება იყო, ადრინდელი გეგმების შეცვლა გადაწყვიტა. ამ რამდენიმე დღის წინათ ამგვარი განცხადება პოლონელებმა გააკეთეს. კერძოდ, ქვეყნის ეროვნული ბანკის თავკაცმა მარეკ ბელკამ აღნიშნა, რომ, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, პოლონეთს ჯერჯერობით არ აქვს საფუძველი ევროს ზონას 2012 წლისათვის შეუერთდეს, როგორც ეს დაგეგმილი იყო.

2014-2015 წლისათვის ევროს ზონაში შესვლას გეგმავდნენ



ლატვია, ლიტვა, რუმინეთი და ბულგარეთი. აღსანიშნავია, რომ ორი უკანასკნელი აშკარად არ ჩქარობს მაასტრიხტის ხელშეკრულების ყველა პირობა დათქმულ ვადებში შეასრულოს, რომ ევროს ზონის კარის შესაღებად დროულად მოემზადონ.

როგორც ცნობილია, ევროზე გადასვლამ ბევრ ქვეყანაში გამოიწვია ინფლაციის ზრდა და მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის შემცირება. ამას დაუმატეთ ყველა ზემოთ აღნიშნული პრობლემა და გასაგები გახდება, რატომ არ არის დღეს სანუკვარი ოდესღაც ასე სასურველი ევროს ზონა.

თუმცა, ისიც ცხადია, რომ ყველა ქვეყანა, რომელიც ევროკავშირში შევიდა, ბოლოს და ბოლოს აუცილებლად გაერთიანდება ევროს ზონაში. საქმე ის არის, რომ ერთიანი ვალუტა ევროპული ინტეგრაციის ქვაკუთხედია. ასე რომ, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ ეს პროცესი მხოლოდ გააჭიანურონ. ამასთან, თავად ევროპელი ფინანსისტები კიდევ უფრო მკაცრად მოექცევიან ზონაში შესვლის კანდიდატებს.

ამ ეტაპზე კი ცხადზე უცხადესია, რომ კრიზისმა დააყენა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი: როგორ განვითარდება მომავალში ევროპული ინტეგრაციის პროცესი.

**მოამზადა**
**გოჩა ძიმუცაძემ**
**Presage.tv**

## ◉ ინფორმაცია

### სიღნაღის რაიონში ვენახები და ქარსაცავი ზოლი დაიწვა

**სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბეში რამდენიმე მეასედი ვენახი, სოფელ ილიაწმინდაში კი 1,5 ჰექტარზე ქარსაცავი ზოლი დაიწვა. მანამდე ხანძარი გაჩნდა სოფელ ძველ ანაგაშიც. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს საგანგებო სიტუაციათა სამსახურის უფროსმა გიორგი ნაცვლიშვილმა განუცხადა, ბოლო დღეებში ხანძრის შემთხვევები გახშირდა.**



**— ორი დღის წინ, ხანძარი სოფელ ილიაწმინდაშიც იყო. ცეცხლი 4 ჰექტარზე გავრცელდა. ხორბალი უკვე აღებული იყო და ზარალი არ არის, თუმცა მალე რომ არ ჩაგვექრო, მოუმკელ ყანაში გადავიდოდა. სამწუხაროდ, 1,5 ჰექტარზე ქარსაცავი ზოლი დაიწვა, — აღნიშნა მან.**

ჯი-ეიჩ-ენი

## წყალხტომა

# უკეთ, ვიდრე რომში



**ორი წლის წინათ რომში საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველმა წყალმხტომელებმა – ჭოლა ჭანტურიამ და შოთა კორახაშვილმა სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში მე-17 ადგილი დაიკავეს.** და აი, ორი წლის შემდეგ მათ კვლავ იასპარეზეს მსგავს შეჯიბრებაში, ამჯერად ჩინურ შანხაიში. ამჯერად ჩვენმა ბიჭებმა უკეთესი შედეგი აჩვენეს, 354,93 ქულით ფინალში გავიდნენ, იქ კი ბევრად გამოცდილ მეტოქეებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და საბოლოოდ 365, 13 ქულით მე-12 ადგილზე გავიდნენ. საპრიზო ადგილები კი ასე განაწილდა: 1. კაი კინი, იუტონ ლიო (ჩინეთი), 2. ილია ზახაროვი, ევგენი კუზნეცოვი (რუსეთი), 3. იაჰელ კასტილიო, ხულიან სანჩესი (მექსიკა).

ჭანტურია და კორახაშვილი დღეს 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ინდივიდუალურ ხტომებში მოსინჯავენ ძალებს.

**ლაშა დიდია**

## ფუტსალი

# პლეი-ოფის ზღურბლთან

**ამ დღეებში საქართველოს სტუდენტური ნაკრები (მთავარი მწვრთნელი – ნიკოლოზ ჩალაძე, ტექნიკური დირექტორი – თემურ დოლიძე, დელეგაციის ხელმძღვანელი – ქვეყნის საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი ნიკოლოზ ამაშუკელი) პირველად მონაწილეობს ფინეთის ქალაქ ტამპერეში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატში, რომელშიც ვაჟთა 24 და გოგონათა 12 გუნდი ასპარეზობს. აღსანიშნავია, რომ სკანდინავიაში გამართულ შეხვედრებს ჩვენი თანამემამულე შოთა ქუხილავაც მსაჯობს.**

ტურნირის დებულების თანახმად, ჯგუფების (8 სამგუნდიანი ჯგუფი) გამარჯვებულები პირდაპირ გადიან მერვედფინალში, პლეი-ოფის დანარჩენი 8 საგზურისთვის კი ჯგუფებში მეორე და მესამე ადგილებზე გასული კოლექტივები იბრძოლებენ. დავძენთ, რომ მერვედფინალიდან შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით გაგრძელდება.

სტარტზე „ჯვაროსნებმა“ ინგლისის „ბათი“ დაჯაბნეს – 4:1 (გოგოხია, სიგუნავა, მაისაია, ტიკურიშვილი), თუმცა მთავარ ფავორიტთან – ესპანურ „მალაგასთან“ ვერაფერი გააწყვეს და 1:5 დამარცხდნენ (ბაშელეიშვილი). სხვათა შორის, მატჩის ბედი მას შემდეგ გადაწყდა, რაც მსაჯმა ჩვენებს გოლი არ ჩაუთვალა და სარბიელიდან გუნდის კაპიტანი ჭანუყვაძე გააძევა.



ასე რომ, ქართველმა სტუდენტებმა ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს და პლეი-ოფში გასასვლელად მეტოქეობას აზერბაიჯანელ თანატოლებს გაუწევენ, იქ წარმატების შემთხვევაში კი დღეს რუსებს დაუპირისპირდებიან.

**გუშინ: საქართველო-აზერბაიჯანი 4:2.**

**გიორგი შოთაძე**

## ჭადრაკი

# ნახევარი ქულის ფასი

**ამ დღეებში ფოთმა ზღვისპირა ქალაქის სასახელო შვილის ნანა ალექსანდრიას ტრადიციულ თასის გათამაშებას უმასპინძლა, სადაც მთავარ პრიზთან ერთად სოლიდური ფულადი ჯილდოებიც განაწილდა.**

შარშანდელმა გამარჯვებულმა კონსტანტინე შანავამ ბოლოსწინა ტურში დათმო პოზიციები, რის შედეგადაც პირველი ადგილის დაკავების შანსი მის ერთბაშად სამ კონკურენტს გაუჩნდა.

მძაფრ ფინიშზე ყველას გაიოზ ნიგალიძემ (7,5 ქულა) აჯობა, რომელსაც 4000 ლარიც ერგო. ასეთივე მონაგარით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე იყო აზერბაიჯანელი ზაურ მამადოვი (2000 ლარი), ხოლო 7-7 ქულით მესამე-მეხუთე პოზიციები ლევან ფანცულაიამ (1500 ლარი), სომეხმა დავით კალაშიანმა (1200 ლარი) და გიგა ყუფარაძემ (1000 ლარი) გაიყვეს.

ასევე დამატებითმა ინდივიდუალურმა მონაცემებმა გადაწყვიტა ქალთა ტურნირის ბედიც, რომელშიც უძლიერესი 6,5 ქულით მერი არაბიძე აღმოჩნდა (1500 ლარი). ნინო ბაციაშვილს ასეთივე ნადავლმა II ადგილი და 900 ლარი მოუტანა, ხოლო მესამეადგილოსან მაკა ფურცელაძეს 6 ქულის წილ 600 ლარი ხვდა.

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით საპატიო კვარცხლბეკზე შემდეგი მოჭადრაკეები ავიდნენ.

**16-წლიანები. გოგონები.** საბინა იბრაჰიმოვა (აზერბაიჯანი, 5,5), ანა შამათავა (5), ნატო იმნაძე (4,5). **ვაჟები.** ირაკლი ბერაძე (6), არმან მიქაელიანი (6), შალვა ნადირაშვილი (6).

**14-წლიანები. გოგონები.** მარიამ ჭოლაძე (5,5), ნინო ხომერიკი (5), ადა ქაქუთია (4,5). **ვაჟები.** ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (5,5), ნოე თუთისანი (5), გიორგი სიბაშვილი (5).



**12-წლიანები. გოგონები.** ნარმინ მამადოვა (აზერბაიჯანი, 8), ნინო დახუნდარიძე (6,5), თეა ჭოლაძე (6). **ვაჟები.** ლუკა ლიჩელი (7), ავთანდილ ფანჩულიძე (7), გურამ კოკაია (6,5).

**10-წლიანები. გოგონები.** ელენე კოსტავა (9), ლილე ქორიძე (7), გვანცა მარგველაშვილი (6,5). **ვაჟები.** ცოტნე მამულაიშვილი (7), გორ თათევოსიანი (სომხეთი, 7), არიან ხოლამი (ირანი, 7).

**8-წლიანები. გოგონები.** თამარ ესაძე (9), სოფიკო გოგინავა (7), ანაიდა მკრტიჩიანი (სომხეთი, 7). **ვაჟები.** შოთა ხოდაშნელი (8,5), ნიკოლოზ კაჭარავა (8), საბა ლომსაძე (6,5).

**ლექსო ცინცაძე**

## მოკლედ



**გუშინ ბოსნიაში გაიმართა კალათბურთში 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონის მეორე ჯგუფური რაუნდის სასტარტო მატჩი: საქართველო – ბულგარეთი 88:75. ასე რომ, დავით უსტიაშვილის გუნდი ნახევარფინალში გავიდა.**

**დღეს „ჯვაროსნები“ დანიელებს ხვდებიან.**

## სურვილი

# „დიდი მწვრთნელი უნდა გავხდე“!

**მწვრთნელის განათლებას ეფენბერგი ყოფილ თანაკლუბელ მეჰმეთ შოლთან ერთად ეუფლება – ეს უკანასკნელი ახლა 40 წლისაა და ეფენბერგთან ერთად 2001 წელს „ბაიერნში“ ჩემპიონთა ლიგა მოიგო. სხვათა შორის შტეფანისგან განსხვავებით, შოლს გარკვეული სამწვრთნელო გამოცდილება უკვე აქვს – შარშან „ბაიერნის“ მეორე გუნდის თავკაცი გახლდათ, თუმცა წარმატებებს ვერ მიაღწია.**




გერმანიის საფეხბურთო კავშირის ოფიციალური ვებ-გვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში ეფე ამბობს: მინდა, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი გავხდე. – მთავარია, უმაღლეს ლიგაში ვიმუშავო და მნიშვნელობა არა აქვს, გერმანიაში დავსაქმდები, იტალიაში თუ ინგლისში. დარწმუნებული ვარ, რომ სამწვრთნელო საქმეში ძალიან წარმატებული ვიქნები, – დასძენს შტეფანი.

სხვათა შორის, თავის დროზე სწორედ ასე ლაპარაკობდა ეფენბერგის კოლეგა ლოთარ მათეუსიც, რომელიც შტეფანზე რვა წლით უფროსია. ამ უკანასკნელმა სამწვრთნელო ლიცენზია ათი წლის წინ აიღო და ზუსტად ათი წელია, მწვრთნელის რანგში მოღვაწეობს, თუმცა წარმატებას ვერსად მიაღწია. კითხვაზე, ხომ არ ეშინია, რომ მათეუსის ბედს გაიზიარებს, „ბაიერნის“ გულშემატკივრების უსაყვარლესი ექს-ფეხბურთელი პასუხობს, ეს გამორიცხულიაო.

## იდეა

# დროა სათანადო პატივი მივაგოთ

**ქართული ფეხბურთის მატიანეში ოქროს ასოებითაა შესული ანდრო ჟორდანიას, მიხეილ იაკუშინის, გავრილ კაჩალინის და ნოდარ ახალკაცის სახელები. ამ დიდი მწვრთნელების მოღვაწეობას უკავშირდება ქართული ფეხბურთის და მისი ფლაგმანის თბილისის „დინამოს“ ყველაზე უფრო დიდი წარმატებები, ტრიუმფალური გამარჯვებები. მათი ძალისხმევით ქართულმა ფეხბურთმა ხმამაღლა დაიქუხა არამარტო საკავშირო, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე და გახდა „საბჭოთა ფეხბურთის მარგალიტი“ (არ უნდა დავივიწყოთ მიხეილ ბუტუსოვიც, რომლის სახელთანაა დაკავშირებული ომამდელი თბილისის „დინამოს“ საუკეთესო მაჩვენებლები. გუნდმა ორჯერ – 1939 და 1940 წლებში მოიპოვა საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის მედლები).**

ცხადია, სავსებით მართლზომიერი იყო, რომ ამ ბრწყინვალე გამარჯვებებში ყველაზე უფრო წონიანი წვლილი ქართულმა გენმა დაიდო. აქ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, დიდ ანდრო ჟორდანიას და განუმეორებელ ნოდარ ახალკაცს ვგულისხმობთ. სწორედ მათი ხელმძღვანელობით აღწევდა თბილისის „დინამო“ ყველაზე ხშირად დიდ გამარჯვებებს და მათ აღუზარდეს ქართულ ფეხბურთს პირველხარისხოვანი ვარსკვლავების მთელი პლეადა, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი ქართულ ფეხბურთს და ის საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე გაიტანეს. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ამ რანგის მაღალი კლასის მოთამაშეები ევროპის ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდნენ, ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში ანდრო ჟორდანიას და ნოდარ ახალკაცს პირდაპირ ხელისგულზე ატარებდნენ. ჩვენ კი როგორ მოვექეცით მათ? სიტყვით კარგად, საქმით – ცუდად, დაუმსახურებლად გული ვატკინეთ და უმადურობა გამოვიჩინეთ, ხელი კი არ შევუწყვეთ, არამედ ხელი შევუშალეთ, უამრავი ტკივილი მივაყენეთ. 1978 წელს, როდესაც თბილისის „დინამო“ მეორედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, გულმოკლულმა მტრებმა იმდენი გააკეთეს, რომ საქართველოს საუკეთესო მწვრთნელად ნოდარ ახალკაცი კი არა, გუნდის ექიმი ზაქრო თელია აირჩიეს. ალბათ, უპრეცედენტო შემთხვევაა ფეხბურთის ისტორიაში, სწორედ ამაზე უთქვამს სულმნათ ვაჟა-ფშაველას: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“.





უთუოდ, მრავლისმეტყველი ფაქტია, რომ არც ახალკაცამდე და არც ახალკაცის შემდეგ ქართულ ფეხბურთს ისეთი ბრწყინვალე გამარჯვებებისთვის არ მიუღწევია, ისეთი სტაბილური შედეგები არ ჰქონია, როგორიც ბატონ ნოდარ ახალკაცის ხელში – 1976-1982 წლები იყო ქართული ფეხბურთის ოქროს ხანა. სავსებით ლოგიკური იყო, რომ ნოდარ ახალკაცი საქართველოში XX საუკუნის საუკეთესო მწვრთნელად იქნა დასახელებული. უმადურების წყვდიადში ეს ნათელი სხივი იყო.

უმადურობით იყო აღსავსე დიდი ქართველი მწვრთნელის ანდრო ჟორდანიას ხვედრიც. ის თბილისის „დინამოს“ გაჭირვების ტალკვესად იქცა და როგორც კი გუნდს გაუჭირდებოდა, უმალ მას უხმობდნენ. ისიც მოვიდოდა, შემოიკრებდა ნიჭიერ, პერსპექტიულ ახალგაზრდებს, დააყენებდა ფეხზე, სწორ გზაზე გაიყვანდა და გაანთავისუფლებდნენ: „შეურაცხყოფა საუკეთესო ჯილდოა კარგად შესრულებული სამსახურისათვის“. არც ერთს და არც მეორეს ეს არ დაკლებია. საკმარისი იქნებოდა გავიხსენოთ, რომ 1964 წლის ჩემპიონები „ოქროს ბიჭები“, სწორედ ანდრო ჟორდანიას ხელში გაიზარდნენ და დაფრთიანდნენ. 1959 წელს უმაღლესი საფეხბურთო მწვერვალების საიერიშოდ დაწყებული გზა, რომელიც ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველი დიდი გამარჯვებით დასრულდა 1964 წელს, ოღონდ დიდი მაესტროს გარეშე, ანდრო ჟორდანიას მცირე წარმატება მაინც ერგო. ის ქუთაისის „ტორპედოს“ მხსნელად მოგვევლინა და უმაღლეს ლიგაში ადგილი შეუნარჩუნა. ანდრო ჟორდანიას ქართული ფეხბურთისათვის სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, ალბათ, ისიც საკმარისი იქნებოდა, რომ აღუზარდა ლეგენდარული მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი.

„დრო ყველაზე უფრო ნამუსიანი კრიტიკოსია“. ვფიქრობთ, დიდი ხანია, რაც დადგა დრო ქართული ფეხბურთის ორ ლეგენდას ბატონ ანდრო ჟორდანიას და ბატონ ნოდარ ახალკაცს ღირსეული პატივი მივაგოთ. ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს იმ იდეას, რომ მათი სახლების კედლებზე გაიხსნას ბარელიეფები, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას კი ეწოდოს მათი სახელი და „დინამოს“ სტადიონზე დაიდგას მათი ძეგლი. ეს ჩვენი ვალია. საერთოდ, ძალიან კარგი იქნებოდა გაიხსნას ქართული ფეხბურთის მუზეუმიც. ეს საშური საქმე უნდა ითავოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ თბილისის „დინამოს“ მფლობელებთან ერთად. წარსულს ნუ დავივიწყებთ – მასზე ზრუნვა არანაკლებ საპატიო მისიაა.

**მერაბ კალანდაძე**

სულთათანა

# კაცი, რომელიც ქვეყანას დააკლდა...

## ნუგზარ გაბრიჩიძის ნათელ ხსოვნას



ძალიან ძნელია წარმოიდგინო, რომ აღარ არის ნუგზარ გაბრიჩიძე, ყველაფრით გამორჩეული, ღირსეული ქართველი, სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, მამა, მეუღლე და მეგობარი. კაცი, რომელიც ხვალ ძალიან დააკლდება ჩვენს ქვეყანას და სულ გვექნება უკმარისობის განცდა, რომ ველარასოდეს ვნახავთ მას.

იმერეთის ულამაზესი სოფლიდან ჩამოსული პატარა ბიჭი, შემდეგ ცხოვრების ავკარგიანობას შეჭიდებული და რიგითი გამომძიებლიდან საქართველოს გენერალური პროკურორის პოსტზე დამსახურებულად გამწესებელი, მიუხედავად თავისი ძალიან დიდი და საპასუხისმგებლო მოვალეობისა, იყო ძალიან სათუთი და თბილი ბუნების ადამიანი. ადამიანი, რომელიც უმაღლეს პროფესიონალიზმს, ცოდნას და განათლებას უთავსებდა გულისხმიერებას, თავმდაბლობას და მოყვასის საოცარ სიყვარულს.

დიდი მონატრება, დიდი სიყვარული, დიდი გულისწყვეტა მოგყვება, ბატონო ნუგზარ, შენი ულამაზესი ოჯახის, უსათნოესი მეუღლის, უსაყვარლესი შვილების და შენი ჭეშმარიტი, გულწრფელი მეგობრებისგან.

უფალო, სასუფეველი დაუმკვიდრე მის სულს.

უახლოესი მეგობრები

**როგორც უკვე ვიუწყებოდით, გამორჩენილი საზოგადო მოღვაწისა და ჩინებული მოქალაქის ნუგზარ გაბრიჩიძის გამოსვენება მოხდება 23. VII. 15 სთ. ოღონდ არა საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან, არამედ სიონის საკათედრო ტაძრიდან (სიონის ქ. №6).**

ლუიზა, როინ მეტრეველები მწუხარებას გამოთქვამენ ახლო მეგობრის, ღირსეული მამულიშვილის

ნუგზარ გაბრიჩიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს – ლელა, თიკო, ლევან გაბრიჩიძეებს.

---

თემურ, ანიკო, კობა, მაკა კუჭუხიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ნუგზარ გაბრიჩიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თენგიზ, ნათია კუჭუხიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ნუგზარ გაბრიჩიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზურაბ მაჩაიძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონ

ნუგზარ გაბრიჩიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ზაზა, ირმა ქათამაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუგზარ გაბრიჩიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ვალერი იოსავა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ნუგზარ გაბრიჩიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ვაჟა გელაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ნუგზარ გაბრიჩიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მელორ ტყეშელაშვილი, დავით ბენიძე, ავთანდილ იაშვილი, ფრიდონ ინჯია, ლადო კვარაცხელია, ზაზა ქათამაძე, მერაბ ტყეშელაშვილი, ვანო ზოდელავა, კახა ბაკურაძე, დემურ გადელია, ზაზა მაზმიშვილი, კახა კვიციანი, მუხრან ბაგრატიონი, გოჩა ყანჩაველი, ტარიელ რაზმაძე, გურამ ახალაია, გია ქათამაძე, გია მიქელაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

ნუგზარ გაბრიჩიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნათელა, გურამ კუჭუხიძეები ოჯახით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უკეთილშობილესი ადამიანი

ნუგზარ გაბრიჩიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დიდი მონატრება, დიდი სიყვარული, დიდი გულისწყვეტა მოგყვება, ბატონო ნუგზარ.

---

გურამ ქარქაშაძის, იური ოსიპოვის ოჯახები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუგზარ გაბრიჩიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნუგზარ ქავთარაძის ოჯახი მწუხარებით იუწყება

ნუგზარ გაბრიჩიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სანთელი

# ვახტანგ გოგოლაშვილი



მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი პოეტი და დრამატურგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1989 წ.ძ ვახტანგ მანუელის ძე გოგოლაშვილი.

დაიბადა 1932 წლის 27 აპრილს სოფელ კურსებში (ახლანდელი ტყიბულის მუნიციპალიტეტიძ. 1955 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. 1962 წლიდან 2006 წლამდე იყო თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო-სალიტერატურო სამმართველოს უფროსი.

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს ვახტანგ გოგოლაშვილის პოეტურ კრებულებს – „მახსენდება მშობლიური სკოლა“ (1957 წ.ძ „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“ (1961 წ.ძ, „გემბანიდან დანახული სანაპირო“ (1978 წ.ძ. პოეტის ლექსებზე შექმნილია მრავალი პოპულარული ქართული სიმღერა – „დადუმებულხარ ჩემო აპრილო“, „პატარა ქალბატონო“, „მოგონება“, „სიმღერა თბილისზე“ (რომელთა ავტორები არიან კომპოზიტორები ს. ებრალიძე, მ. სებისკვერაძე, ო. თევდორაძე, ნ. გიგაურიძ.

მკითხველთა შორის განსაკუთრებული წარმატება ხვდა მოთხრობების კრებულს – „იქ, სადაც ლურჯი მთებია“ (1958 წ.ძ, რომელიც ითარგმნა რუსულ, უკრაინულ, ლიტვურ და უკრაინულ ენებზე. ეს კრებული 1962 წელს თურქულ ენაზე გამოიცა აგრეთვე სტამბოლშიც. ამ კრებულს შემდეგ მოჰყვა ახალი კრებულები „მუშკეტერის სიკვდილი“ (1976 წ.ძ, „ჭინკების ბრიგადა“ (1991 წ.ძ.

ვახტანგ გოგოლაშვილის პიესა „წეროები“ ჯერ კიდევ 1961 წელს დაიდგა თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე, ხოლო 1962 წელს იგივე პიესა დადგეს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ერევნის, ოდესის, ეკატერინბურგის თეატრებმა.

ვახტანგ გოგოლაშვილი ავტორია რამდენიმე მონოგრაფიისა, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს „ჯანო ბაგრატიონი“ (1982 წ.ძ, „ვასო გოძიაშვილი და ქართული ესტრადა (1982 წ.ძ, ნიკოლოზ მოსეშვილი (1984 წ.ძ, „ფილარმონიის ისტორიის ნარკვევები“ (1989 წ.ძ, „დიდი ანსამბლი „ერისიონი“ (2008 წ.ძ.

მწერალი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998 წ.ძ.

ვახტანგ გოგოლაშვილის სახით ქართულმა კულტურამ ერთ-ერთი ღირსეული, დამსახურებული მოღვაწე დაკარგა.

მეგობრები

---

ვახტანგ გოგოლაშვილის სამოქალაქო პანაშვიდები გაიმართება 21-22 VII, 17 სთ. თემქა, IV მ/რ. II კორპ. IV სადარბაზო, ბინა 123.

გამოსვენება 23 VII, 14 სთ. კინოსტუდიის ეკლესიიდან (დიღმის მასივიძ.

---

რუსიკო, ტურფა, ფოთოლა, თენგიზ კალანდაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ადამიანის

ნაზი (ნაზიკოძ ჯოჯუა-კორძაიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

---

მარინა კანდელაკი თანაუგრძნობს დონარი, ირინა, გიზო კორძაიებსა და სხვა ჭირისუფალთ დედის

ნაზი ჯოჯუა-კორძაიას

გარდაცვალების გამო.

---

1964 წლის კურსდამთავრებულები ნანული (ნანაძ გუნია, ნანი ჭანტურია, ემზარ სიმონია, ეთერ ჭანტურია, ჟიგული ხოშტარია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი მასწავლებელი, შესანიშნავი ადამიანი

ეთერ კიზირია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი თეატრალური მოღვაწე

ნადია შალუტაშვილი

---

„თავისუფალი საქართველო“ იტყობინება, რომ გარდაიცვალა პარტიის თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი (გუგეძ ცანავა

პარტია „თავისუფალი საქართველო“ მწუხარებას გამოთქვამს და უსამძიმრებს გიორგი ცანავას ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. პანაშვიდი 21, 22 VII, გამოსვენება 23 VII, 15 სთ. ქ. წალენჯიხა.

ინფორმაცია

## ბრუცელიოზი მსოფლიოს მოედო, მათ შორის ჩვენცა ვართ

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ცხოველთა საშიში ინფექციური დაავადებების გავრცელების ქვეყნების ნუსხა განსაზღვრა. კერძოდ კი სამინისტროს ინფორმაციით, მსხვილფეხა პირუტყვის ბრუცელიოზი 47 ქვეყნაშია გავრცელებული, მათ შორის არის საქართველო, თურქეთი, რუსეთი, სომხეთი. ასევე, ავღანეთი, ალჟირი, არგენტინა, აშშ, ბელგია, ბრაზილია, ბურკინა-ფასო, განა, დომინიკის რესპუბლიკა, ზამბია, ზიმბაბვე, იემენი, იტალია, კენია, კოლუმბია, კომორისი, კონგო, კორეა, კოსტა-რიკა, კუბა, ლიბანი, მაკედონია, მაროკო, მოზამბიკი, მონღოლეთი, ნამიბია, ნიკარაგუა, ნიგერია, პარაგვაი, პერუ, პორტუგალია, სვაზილენდი, სირია, ტაილანდი, ტაჯიკეთი, ტოგო, ტუნისი, უგანდა, ურუგვაი, ყაზახეთი, შრი-ლანკა, ჩილე, ჩინეთი, ჰონდურასი.

რაც შეეხება წვრილფეხა პირუტყვის ბრუცელიოზით დაავადებას, აღსანიშნავია, რომ ქვეყნების სიაში საქართველო არ შედის, თუმცა შედიან მეზობელი ქვეყნები – თურქეთი, რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი.

ჯი-ემ-ენი

## ვულოცავთ!



ამ დღეებში სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის ხარისხი წარმატებით დაიცვა ჩვენმა კოლეგამ და მეგობარმა, „საქართველოს რესპუბლიკის“ ყოფილმა მთავარი რედაქტორის მოადგილემ **რუსუდან ლორთქიფანიძემ**, რომელიც ამ ბოლო წლებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პედაგოგობს. „თანამედროვე პუბლიცისტური აზროვნების ძირითადი ტენდენციები“ — ასე ჰქვია მის სადოქტორო ნაშრომს, რომელიც ავტორის პრაქტიკული პუბლიცისტური შრომის შედეგიც არის.

ძვირფას მეგობარს ახალ-ახალი გამარჯვებების მოლოდინით ვულოცავთ წარმატებას და ჯანმრთელობასა და წინსვლას ვუსურვებთ თავისი ოჯახისა და პროფესიული საქმიანობის საკეთილდღეოდ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

## ტესტი

# სააგარაკო დასვენება

**ეს ტესტი დაგეხმარებათ განსაზღვროთ, თუ რა არის თქვენთვის აგარაკი**



**1. აგარაკზე ყველაზე დიდ სიამოვნებას ღებულობთ:**

ა) ჰამაკში წოლისგან — 3;

ბ) მიწასთან მუშაობისგან — 1;

გ) დილის ცვარ-ნამში სიარულისგან — 2.

**2. საგარაკო ნაკვეთი გჭირდებათ უწინარეს ყოვლისა:**

ა) იმისთვის, რომ იყოთ კარგ ფიზიკურ ფორმაში — 1;

ბ) რომ უზრუნველყოთ ოჯახი ხილით, ბოსტნეულით, მწვანილით, კენკრით — 3;

გ) დასვენებისთვის — 2.

**3. წელიწადში საშუალოდ რამდენ დროს ატარებთ მიწის ნაკვეთში?**

ა) სამ თვეზე მეტ ხანს — 1;

ბ) ერთიდან სამ თვემდე — 2;

გ) ერთ თვეზე ნაკლებ დროს — 3.

**4. ქვემოთ ჩამოთვლილიდან ყველაზე მეტად რა არ მოგწონთ აგარაკზე?**

ა) კოღოები და ქინქლები — 2;

ბ) ამინდის კაპრიზები — 1;

გ) ზოგიერთი ჩვეულებრივი პირობების არქონა — 3.

**5. სააგარაკო ნაკვეთი ვერ წარმოგიდგენიათ:**

ა) ხეხილის ბაღებისა და ყვავილების გარეშე — 1;

ბ) მდიდრული სახლის გარეშე — 3;

გ) აბანოს (საუნის) გარეშე — 2

**6. მხიარული სახით როგორ უფრო მოგწონთ თქვენი საგარაკო მონაკვეთის დასახლება?**

ა) კარ-მიდამო — 2:

ბ) ფაზენდა — 1;

გ) სასახლე — 3.

**7. საგარაკო ნაკვეთზე მეზობლისთვის არ დაიშურებთ:**

ა) მწიკვ მარილსაც კი — 3;

ბ) საკვირველ ნერგებსაც კი — 2;

გ) ბოლო პერანგსაც კი — 1.

**8. გააგრძელეთ ფრაზა: „აგარაკი — ეს საუკეთესო ადგილია“**

ა) სტრესის მოსახსნელად — 1;

ბ) დროის მოსაკლავად — 3;

გ) რომ გადაურჩე სიცხეს — 2.

**9. თქვენი აზრით, ტოპინამბური — ეს არის...**

ა) მწერი — 2;

ბ) ასოების უაზრო გროვა — 3;

გ) ტყის პანტა — 1.

**შეკრიბეთ ქულები და შეაჯამეთ შედეგები:**

9-14 ქულა. თქვენ ბრძანდებით ადამიანი, ვისთვისაც აგარაკი უკვე დიდი ხანია აღარაა დასვენების ქალაქგარე მონაკვეთი. ის თქვენი სიცოცხლის ნაწილი და რაღაც სულის მოსათქმელი ადგილია დასასვენებლად.

15-21 ქულა. არ შეიძლება თქვენ გიწოდონ კლასიკური საგარაკო მიმზიდველობის თაყვანისმცემელი. შეწვათ მწვადები, ითამაშოთ ბადმინტონი, ჩაწვეთ შეზლონგში (დაქანებული ზურგის მქონე სავარძელია, რომელშიც ნახევრად წამოწოლა შეიძლება), ჩახვიდეთ მდინარეზე — აი რა გაინტერესებთ! მიწის თხრა, სარეველა ბალახების მოჭრა, ნერგებისა და ბოსტნეული დარგვა, თოხნა, მოცელვა — ეს რაღა დასვენებაა?! ყველაზე კარგია — დაიქირავო მონაკვეთი შვებულების დროს, ხოლო თუ პატარა ბავშვები გყავთ — მთელი საგარაკო სეზონის განმავლობაში.

22-27 ქულა. ვერ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ თქვენ ბუნებაში ცხოვრებისთვის ხართ გაჩენილი. თუ გაქვთ კიდეც საბაღე მონაკვეთი, თქვენ, ალბათ, გინდათ ის გქონდეთ ახლობლებისთვის. სხვათა შორის, ცხელი დღეები უმჯობესია გავატაროთ მაინც ქალაქგარეთ, ვიდრე დახუთულ და მტვრიან მეგაპოლისში.

მოამზადა გიორგი გელაშვილმა

## ანეკდოტები

ქმარი ღამით გალეწილი მთვრალი ბრუნდება სახლში და ცდილობს, საძინებლის კედელზე როგორმე მიაგნოს ჩამრთველს. საწოლში მწოლი ცოლი, თავის მხრივ, ცდილობს, დაეხმაროს მას ამაში და სწორი მიმართულებით ამოძრავებინოს ხელი.

— მარჯვნივ... მაღლა... დაბლა, არა, მთლად მასე არა, ოდნავ მარცხნივ, ახლა უფრო დაბლა... კიდევ...

მეორე ოთახიდან ისმის სიდედრის ხმა:

— შვილო, ნუ აწვალებ ასე ქმარს, ხელი მოკიდე შენს გემოზე...

* * *



სტალინმა დაამტკიცა, რომ რუსეთის თავკაცობა შეუძლია მხოლოდ მას.

ხრუშჩოვმა დაამტკიცა, რომ რუსეთის თავკაცობა შეუძლია არა მხოლოდ სტალინს.

ელცინმა დაამტკიცა, რომ ელცინის თავკაცობა ყველას შეუძლია.

მედვედევმა დაამტკიცა, რომ რუსეთს შეიძლება არც უთავკაცო.

* * *

ყველას როდი გაუმართლებს, რომ ეწვიოს ნამდვილი სიყვარული...

— მე როდესაც ნამდვილი სიყვარული მეწვია, ორმაგად გამიმართლა!

— ?

— ჩემი ცოლი არ იყო სახლში!

* * *

სმს საუბარი:

1. ჩემო საყვარელო, თუ იღიმი, გამომიგზავნე შენი ღიმილი.

თუ გძინავს, გამომიგზავნე შენი სიზმრები.

თუ ტირი, გამომიგზავნე შენი ცრემლები.

2. მე ახლა ტუალეტში ვზივარ და რა გამოგიგზავნო?

## ვულოცავთ!

# ჩხარიდან დაწყებული ერისკაცობა



**ელდარ (ედო) ვერულაშვილი** ჩხარელი კაცია, იქ დაამთავრა საშუალო სკოლა, მუშაობდა ქუთაისის ლუდის ქარხანაში, დამთავრებული აქვს ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი. ეს შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რომ ბატონმა ელდარმა მოგვიანებით თავისი ცოდნა და გამოცდილება მშობლიურ ჩხარს მოახმარა — თავისი დანაზოგებით ააშენა პლასტმასის ფაბრიკა, რაც სოფლისთვის შესანიშნავი საჩუქარი იყო.

კომუნისტების დროს ეს ყოველივე „უცხო ხილი“ იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ელდარ ვერულაშვილის აშენებულმა ფაბრიკამ 10 წელი იმუშავა და უამრავი ადამიანი დაასაქმა ჩხარში.

ელდარ ვერულაშვილი, როგორც აგრონომი, მუშაობდა თბილისის სატყეო მეურნეობის წყნეთის განყოფილების უფროსად, მარნეულის რაიონის ხრამის მევენახეობის მეურნეობის დირექტორის მოადგილედ. სხვათა შორის, იგი არის გეოლოგიც — დამთავრებული აქვს გროზნოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მუშაობდა საქნავთობის სისტემაში და ასე შემდეგ... სად არ იყო, სად არ იღვაწა ამ მუხლჩაუხრელმა, გულითადმა კაცმა, მონკავშირის საპატიო წევრიც კია, და ცხადია, ნადირობის ტრფიალი... ახლაც ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას. ასე გასულა წლები, ჩვენი ელდარი უკვე 70 წლისაა, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, ახალგაზრდული შემართება არ აკლია.

და, რაღა თქმა უნდა, ჰყავს შესანიშნავი ოჯახი — ერთგული მეუღლე, შვილები და შვილიშვილი... ხომ ბედნიერებაა?!

ჰოდა, ბედნიერება არ მოგაკლოს ღმერთმა ძვირფასო ელდარ, გულით გილოცავთ დაბადების 70 წლისთავს.

ახლობლები, მეგობრები

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 23 ივლისს**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24